*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

***სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა***

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| თავმჯდომარე: მაია ლაპიაშვილი |
| წევრები: |
| ნანა ღაჭავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი |
| მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| მზია მახაჭაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი |
| მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი |
| ელენე ბეთლემიშვილი - |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ- ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 209472630 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისის |
| იურიდიული მისამართი | თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ |
| ფაქტობრივი მისამართი | თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ |
| საფოსტო ინდექსი | 0107 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/96 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | tbilisi115@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577 33 92 79 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 23/08/2023 ბრძანება N MES 3 23 0001028912 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 27-28 სექტემბერი 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი - I-VI კლასები; | ქართული ენა | თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო - VII-IX კლასები; | ქართული ენა | თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო - X-XII კლასები. | ქართული ენა | თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

*სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლას სურს განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ერთ მისამართზე - თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ . ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერებით, ჩატარებული ინტერვიუირებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა რიგი გარემოებები, რომელიც ქმნის დაბრკოლებებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, დასკვნის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების მდგრადობის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის და რიგი სხვა მექანიზმების არარსებობა ვერ უზრუნველყოფს ფიზიკურად უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნას და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელებას.*

*აღნიშნული გარემოებებიდან (ხარვეზებიდან) გამომდინარე, რომელიც დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში, ზოგიერთი ინდიკატორის მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობა ვერ დადასტურდა .*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის გამორჩეული მახასიათებლებია : გუნდურობა, თანამშრომლობა, დასაქმებულთა მაღალი პროფესიონალიზმი, გაზიარებული პასუხისმგებლობა, მზაობა ცვლილებიბასადმი, მაღალი ავტორიტეტი და ნდობა თემში. უნიკალური ნიშა, რითაც გამოირჩევა სკოლა- ეს არის არაფორმალური განათლების განვითარება, საკლუბო მუშაობა, პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან - უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან. საინტერესო და წარმატებული პრაქტიკაა სკოლის ბაზაზე ახალგაზრდული ცენტრის შექმნა - კლუბების გაერთიანება. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური გუნდი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| სტანდარტი 4<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.1<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.2<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 1650 | ■<br>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

**სრულ შესაბამისად შეფასდა:**

- *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
- *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
- *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| --- | --- | --- |
| ინდიკატორი N.... | | ............. |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი N3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლამ უზრუნველყოს:<br>ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;<br>ბ) შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;<br>გ) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილი ვადების შესაბამისად (29.09.2023 -29.09.2024) |
| ინდიკატორი 3.5.1.2 | დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; | სკოლამ უზრუნველყოს შშმ პირთათვის სკოლის სპორტულ დარბაზის, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების ხელმისწავდომის უზრუნველყოფა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.10.2023- 30.10.2024) |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 3.5.1.3* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;* | *სკოლამ უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისთვის შენობის პირველი სართულის ერთი ფლიგელის, მეორე-მეოთხე სართულების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებულ ვადებში (30.10.2023- 30.10.2024)* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.2.2.4 | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | სკოლას მიეცა რჩევა, დეტალურად წარმოადგინოს რესურსების ჩამონათვალი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N3.2.1.1 | სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. | სკოლას მიეცა რჩევა, დააზუსტოს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასების მექანიზმები |
| ინდიკატორი N3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლას მიეცა რჩევა, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი |
| ინდიკატორი 3.4.1.4 | სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას | სკოლას მიეცა რჩევა, სველ წერტილებში იყოს გამოკრული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი. |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signatures]

| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (წერილი MES 9 23 0001488792 -03/11/2023 -დანართებით). ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, მესამე სტანდარტი - სრულად შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - სულად შესაბამისად, მეორე სტანდარტი - სრულად შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
   სკოლამ წარმოადგინა **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა** , შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან (2023 წლის 6 სექტემბერი, N8 სხდომა), დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ (2023 წლის 7 სექტემბერი, N6 სხდომა) მასში ასახულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ამჟამად მოქმდი მისია, ხედვა და ღირებულებები . სკოლის მოქმედი მისია თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში დეკლარირებულია ისეთი დებულებები როგორიცაა: თავისიფალი, პატრიოტი, კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდა, რომელიც იზრუნებს საკუთარი შესაძლებლობების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე, სკოლა თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს ღირსეული , წიგნიერი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ახლად შემუშავებული ხედვა. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციამ საჭიროდ ჩათვალა გადაიხედოს მოქმედი მისია და შემუშავდეს შესაბამისი ხედვა, რაზეც სკოლამ გაიარა რევიზიის ეტაპები. აღნიშნული მიზნით სკოლას სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჰყავს სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებზეც გადანაწილებული ჰქონდა შესასრულებელი ფუნქციები.

ვინაიდან სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით დეკლარირებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან,

**1.1.1 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან სკოლის ფილოსოფიაში სკოლა მიზნად ისახავს თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების თანამშრომლობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთრი სასკოლო თემის და ზოგადად საზოგადოების

პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები და ასახოს მისიაში. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი და თემის პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა თემში წარმოადგენს სოციო კულტურულ სივრცეს.

**ინდიკატორი 1.1.1.(2) არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მოქმედი ფილოსოფია და განმარტა, რომ აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პრაქტიკა, კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა იდეები, თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტი და ეს იდეები სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად გადასცა სკოლის მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფს. ჯგუფმა ინტერვიუებით, ანკეტირებით, მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებით დაადგინა თუ რამდენად ეთანხმებოდნენ სკოლის ადმინისტრაციის მიერ ჩამოყალიბებულ იმ პრიორიტეტებს რაც უნდა გაეთვალისწინებინათ მისიის შემუშავების დროს. შემუშავებული მისია განხილულ იქნა მოსწავლეთა თვითმმართველობის და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შესათანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები, ასევე წარმოადგინა, მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომაზე, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომებზე წარმოებული ანალიზის ამსახველი ოქმები, რაც ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა სსკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, **1.1.1 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მოქმედი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სკოლის მიერ განხორციელდა საინფორმაციო დაფაზე გამოკვრით. თუმცა, გაზიარების პროცესი მოიცავს არა მხოლოდ შემუშავებული მისიის ხელმისაწვდომობას, არამედ შემუშავების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. მოქმედი ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების მიერ ჩატარებული მშობელთა კრებების ოქმებით. ვიზიტის დროს სკოლამ სასკოლო ფილოსოფია გააზიარა სკოლის ახლდშექმნილ ვებგვერდზე, სადაც არსებობს წერილობითი უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა **1.1.1 (4) იდნიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ვიზიტის დროს სკოლამ აამოქმედა ვებგვერდი, სადაც გამოაქვეყნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რითაც მეტად გაზარდა აღნიშნულის ხელმისაწვდომობა.

   **1.1.1.(5) იდნიკატორი დაკმაყოფილებულია.**

   **6.** სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა , რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ’’. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს,

   **1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (2023 წლის 6 სექტემერი, N8 სხდომა);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი (2023 წლის 7 სექტემბერი, N6 სხდომა)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

#### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (2023 წლის 30 ივნისის N6 სხდომის ოქმი). აღნიშნული ერთი მეთოდოლოგიური დოკუმენტი ფარავს როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება/გაზიარების საკითხებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/მონიტორინგი/შეფასების თემებს. სტრატეგიული დაგეგმვა წარმოდგენილია როგორც ციკლი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით, შემდეგ, სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება ამ გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შედის ცვლილებები გეგმებში (საჭიროების შემთხვევაში) და ციკლის დასასრულს იწყება მზადება ახალი გეგმების შედგენისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ რა გზას - პროცესს გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის ერთი ციკლის პროცესში. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობა ნებისმიერ ეტაპზე. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაგვიზიარა პროცესი სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვის პრაქტიკა - მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა გააკეთა.
სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დაზუსტდა სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები - სკოლა იყენებს გაზიარების რამდენიმე, ალტერნატიულ ან ურთიერთშემავსებელ მექანიზმებს. ამასთან, გაზიარების კონკრეტული მექანიზმის შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორიაზე, ვისთანაც ხდება გაზიარება, მიზნობრიობაზე - რა მიზნით ხდება გაზიარება და ა.შ.

გაზიარებისთვის აპრობირებული საკომუნიკაციო არხებია: ელ.ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა , სოც. ქსელი, ვებგვერდი, კომუნიკაციის დისტანციური საშუალებები/პლატფორმები ( TEAMS), საერთო ღრუბლოვანი სერვერები.

**ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა შედგენილია 7 წლიანი პერიოდისათვის, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. დაწესებულებამ ახალ სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე მუშაობა დაიწყო, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რამდენიმე თვით ადრე. სტრატეგიული გეგმა მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან შესაბამისობაშია. სკოლის მიერ გაზიარებული პრაქტიკაც ადასტურებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, როდესაც ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, ყოველთვის მხედველობაში ჰქონდათ მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ფილოსოფიასთან წინააღმდეგობაში არ მოდის სტრატეგიული მიზნები და აქტივობები. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 6 მიზანი , რომელიც შესაბამისობაშია მისიასთან, ხოლო ამოცანები შესაბამისია მიზნებთან. დოკუმენტში წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალი ყველა მიზნის გასწვრივ ფორმულირებილია შემდეგნაირად - „ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი“. მიზნებისა და ამოცანების უმრავლესობა გაწერილია 7 წლიან პერიოდზე. სტრატეგიული გეგმა ჩამოყალიბებულია ცხრილის ფორმით, რაც აადვილებს მის აღქმას.

**ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის სამოქმედო სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთი წლისთვის . მასში თავმოყრილია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესრულებადი. სამოქმედო გეგმა ემთხვევა სასწავლო წელს ( 2023-24 ს.წ. სექტემბერი-აგვისტო). სკოლის განმარტებით, ამ პერიოდში ლოგიკურად იწყება და სრულდება სკოლის ბევრი აქტივობა და შესაბამისად, დაგეგმვისა და შეფასების თვალსაზრისით უფრო მოხერხებულია. არწერილი ციკლური პროცესებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთი მხრივ ამოდის სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო

მეორე მხრივ, ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს (SWOT-ანალიზის საფუძველზე) და თვითშეფასებას ახდენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები , ხოლო რესურსების ჩამონათვალი არის მწირი - შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით „ადამიანური რესურსი“, „ფინანსური რესურსი“, „მატერიალური რესურსი“ . მიგვაჩნია, რომ თითოეული ამ კომპონენტის დეტალური გაწერა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მეტ რეალისტურობას. სკოლას მიეცა რჩევა, დეტალურად წარმოადგინოს რესურსების ჩამონათვალი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

რადგანაც სამოქმედო გეგმაში ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია,

**ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამუშაო შეხვედრების ოქმები
- SWOT-ანალიზი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის გადახედვის და მონიტორინგისა და შეფასების ფაზებს.  ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დამატებითი ინსტრუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს , როგორ და რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რა პერიოდულობით და ვის მიერ მოხდება მონიტორინგის განხორციელება, როგორ განხორციელდება შედეგების გათვალისწინება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია  მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და

1.2.2 (1) ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში არის ასახული მონიტორინგისა და შეფასების მუხლი. ვიზიტის დროოს სკოლის მიერ წარმოდგენილი ინსტრუმენტების (დაკვირვება, შუალედური და წლიური ანგარიშები) შესაბამისად, ხდება იმის დადგენა თუ როგორ აპირებს სკოლა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება. მონიტორინგისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი ჯგუფი, ხოლო შეფასებას ახდენს სამეურვეო საბჭო. შესაბამისად,

   **1.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას დამტკიცებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოწმედო გეგმები, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის და სკოლის მიერ აღწერილი პრატიკის შესაბამისად , სკოლა უზრუნველყოფს მათი განხორციელების შედეგების საჯაროობას. ჩანს, თუ როგორ გეგმავს სკოლა მომავალში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფას - გაერთიანებულ შეხვედრებზე, საინფორმაციო დაფაზე გამოკვრით, სოციალური ქსელის მეშვეობით და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით. აღნიშნულიდან გამომდინარე,

   **1.2.2 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში არის ასახული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, შესაბამისად, ხდება იმის დადგენა, თუ როგორ აპირებს სკოლა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება შემდგომი განვითარებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ციკლურია და შეფასებისა და ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი პერიოდის დაგეგმვისთვის. შესაბამისად,

   **1.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
- მინიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები
- სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

სკოლის საშტატო განრიგის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი (1), დირექტორის მოადგილე (2) , ბუღალტერი (1), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (1), საქმისმწარმოებელი (1), საინფორმაციო მენეჯერი (1), ბიბლიოთეკარი (1), მასწავლებელი (93), ხოლო სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში: სკოლის ექიმი (1), ფსიქოლოგი (1) , დარაჯი (3), დამლაგებელი (6), სპეციალური საგანმანათლებლო პირის ასისტენტი (9), მუშა (1), ცეცხლფარეში (1). აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია დოკუმენტში **„სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულებით“** და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციები გაეცნო თითოეულ თანამშრომელს სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ, რომელსაც თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების ბრძანებით დაევალა ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა. თანამდებობრივ ინსტრუქციაში გამიჯნულია მასწავლებლის ფუნქციები სტატუსების შესაბამისად. ყველა მასწავლებლებთან არის გაფორმებული ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით და ითვალისწინებს სრულყოფილად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ქვემდებარეობის და ანგარიშვალდებულების სისტემა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გრაფიკული სრუქტურა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების/სტრუქტურების სახით მოქმედებს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი (ეს პოზიციები არ არის წარმოდგენლი ერთიანი სტრუქტურული ერთეულის - დირექციის სახით), სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, დასაქმებული პირები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.

სკოლის წარმომადგენლბის განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.

მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული უსაფრთხოების წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ (მტუკ, დარაჯები).

როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შესაბამისად,

3.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ შენობაში, რომლებიც განთავსებულია ერთ მისამართზე. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში. სკოლას ჰყავს ერთი ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ორივე ცვლის განმავლობაში. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, წარმოდგენილია მათი მუუშაობის განრიგი, დაგეგმილია მორიგეობა ფუნქციების შესასრულებლად ისე, რომ ცვლებს შორის დასვენების დრო დაცული იქნას 12 საათიანი შუალედებით, დარაჯის სამუშაო დრო არ აჭარბებდეს კვირაში 48 საათს და არ დაირღვეს შრომის კოდექსის მოთხოვნები. დარაჯებისა და მტუკ-ის დამატებითი ფუნქციები სკოლის გათბობის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით გაწერილია სკოლის დირექტორის ბრძანებით და არ უშლის ხელს მათი ძირითადი ფუნქციების განხორციელებას. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი , რომელიც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმართვას ორივე სასწავლო ცვლის მიმდინარეობისას.

სკოლა დაკომპლექტებულია საჭირო კადრით. სკოლის საათობრივი ბადით და სადამრიგებლო აქტივობების განრიგით დგინდება, რომ საათები ოპტიმალურადაა განაწილებული. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების, ანგარიშვალდებულების სასკოლო პრაქტიკით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და მოადგილე პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებთან დიალოგში ადგენენ მათი ფუნქციების შესაბამისად პროფესიულ საჭიროებებს და გეგმავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფენ მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევენ კათედრების მუშაობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი“, სადაც მუხლები 5,6,7 მოიცავს სკოლის პერსონალის დამატებით ფუნქციებს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად,

3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულება“ ;
- „სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი“
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საათობრივი ბადე
- საშტატო განრიგი
- მასწავლებლების და დარაჯების მორიგეობის განრიგი
- სადამრიგებლო საათების განრიგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხონვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების თანახმად, მასწავლებლის კონკურსში მონწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, რომელიც აკმაყოფილებს სპეციალურად ამავე წესით დადგენილ საკვალიფიკქციო მოთხოვნებს, 2015 წლის 1 იანვრამდე მოქმედ მასწავლებეს და 2015 წლის 1 ინვრამდე სერტიფიცირებულ პირს. ამავე წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ,,ზოგადი განათლების შესახებ''

საქართველოს კანონის 21[3] მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ბოლო პერიოდში ჩატარებული კონკურსის მასალები, რომლიდანაც დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის დებულებები შრომის კოდექსთან შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 3.1.2.(1) დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ წარმოადგინა „სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულება“ სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული

პერსონალის მართვის პოლიტიკა,

**3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. „სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულებით" დადგენილია დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც სკოლის წარმომადგენლებისაგან, ასევე მოწვეული სპეციალისტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან, სსიპ მასწავლებლის პროცესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისაგან, გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრის წარმომადგენლისა და პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. პირად საქმეებში თანამშრომლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისად,

3.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები.

სკოლას ყველა პოზიციისთვის აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექიმის კვალიფიკაცია (სახელმწიფო საექიმო სერტიფიკატი სპეციალობაში პედიატრია).

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესების ეფექტურად წარსამართად, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთნდობისა და სასკოლოო საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენის თვალსაზრისითაც.

სკოლის პერსონალი აკმაყოფილებდეს სტანდარტებს. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით" და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" სტანდარტებს.

3.1.2.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**5.** სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება

გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმაეთთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, კლუბების შექმნაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის კოდექსს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წვრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად,

3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან; პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას ( „კრიტიკული მეგობარი“), ინტეგრირებულ და პროქტ – გაკვეთილებს.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. სკოლასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ თანამშრომელთა წახალისება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება: მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი **და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულება“
- სკოლის დირექტორის ბრძანებები თანამშრომელთა წახალისების შესახებ
- სკოლის შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულებები
- პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ამსახველი დოკუმენტაცია - სკოლის დირექტორის ბრძანებები, კომისიის ოქმები
- სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიები teachers.job.ge-ზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.**

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით".** დებულებაში გაწერილია დებულების მიზანი, სამოქმედო პრინციპები, შემადგენლობა, ხარისხის ჯგუფის საქმიანობა, ჯგუფის წევრთა მოვალეობები, მათ მიერ გაკვეთილზე დაკვირვება/შფასების წესი, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. აღნიშნული დებულების მე-9 მუხლი ადგენს, რომ მასწავლებლის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღწერითი ან ფოკუსირებული დაკვირვების სქემა. ამავე მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის სტატუსების მიხედვით გაკვეთილზე დასწრების ინტენსივობა. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელს ეძლევა წერილობითი განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უკუკავშირს ხშირად ზეპირადაც იღებენ სკოლის დირექტორისაგან.

გარდა გაკვეთილზე დაკვირვებისა, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხორციელდება 4 მიმართულებით: ა) მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შეფასება; ბ) საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასება; გ) პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლის აქტივობების/სტრატეგიების შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; დ) ხელშეკრულებით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და პროფესიული განვითარების სქემის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროფესიული აქტივობების შეფასება. სკოლის დირქტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავსებენ დაკვირვების ფორას, მასწავლებლები კი ავსებენ თვითშეფასების ფორმას. დაკვირვების ფორმისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროება.

სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი", რომელის დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 23/05/2023 წლის N2-141 ბრძანებით. დოკუმენტში აღწერილია ადამიანური რესურსების შეფასების მექნიზმები. სკოლის მიერ წარმოდგენილ ორივე დოკუმენტში ცალსახად საუბარია მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებზე, თუმცა არ არის დაზუსტებული, როგორ ხდება სკოლაში დასაქმებული სხვა დანარჩენი პერსონალის შეფასება და საჭიროებების დადგენა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე იყენებენ დაკვირვებას, ანგარიშებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სკოლამ დოკუმენტშიც დააკონკრეტოს სკოლაში დასაქმებული ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭირვალე მექანიზმები. ასევე პერსონალის განვითარების სტრატეგია წარმოდგენილია სკოლის შვიდწლიან განვითარების გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ვინაიდან სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები,

3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სხდომის ოქმი, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა და ფორმა, კოლეგების უკუკავშირების ნიმუშები და მასწავლებლების რეფლექსია. რუბრიკაში განხილულია ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და უკუკავშირი გასაუმჯობესებელ მხარეებზე. სკოლის დირექციასთან და ხარისხის განვითარების ჯგუფთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს მასწავლებელთა შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის შედეგად სკოლას შესაძლებლობა აქვს დაადგინოს მასწავლებელთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საჭიროებები და გაუწიონ რეკომენდაცია სხვადასხვა ტრენინგკურსებს ან დაგეგმონ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობები. ასევე , კმაყოფიელბი არიან თუ არა მასწავლებლები საკუთარი პროფესიული მომზადებით, რომელი მიმართულებით ისურვებდნენ პროფესიულ მომზადებას/განვითარებას, მიაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად პროფესიული ცოდის გაღრმავება ისეთ საკითხებზე როგორიცაა გრძელვადიანი (თემატური) დაგეგმვა სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების დაგეგმვა, სწავლების ეფექტიანი მეთოდები და ხერხები, კლასის მართვა, სწავლების დიფერენცირება და სხვა თემები. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომლის  მეშვეობითაც მასწავლებლები აფიქსირებენ მოსაზრებებს, რა არის მათთვის მთავარი გამოწვევა, პირველი საჭიროება, პროგრესის მთავარი დაბრკოლება, ასევე კითხვარი მოიცავს სკოლის მოსწავლეების ინტერესებს, რჩევებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.  2023 წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე განხილულ იქნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის შედეგები, რაც დასტურდება ოქმით. სკოლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს, ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით თუ რა სახის ღონისძიებები გატარდა და რის გატარებას აპირებს სკოლა. დაგეგმილი აქტივობები ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სხვა პერსონალის საჭიროებების დადგენა  ხდება მათთან  გასაუბრებით, დაკვირვების შედეგების ანალიზით.  სკოლის დირექტორმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განმარტა, რომ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით გადაწყდება პროფესიული განვითარებისთვის რა საშუალებებს უნდა მიმართოს პედაგოგმა და სხვა დასაქმებულმა პირმა, მაგალითად გაიაროს პროფესიული განვითარების ტრენინგები, გაეცნოს მეთოდურ ლიტერატურას, გაიზიაროს წარმატებული და გამოცდილი მასწავლებლების  და სხვა. როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა, აღნიშნულში დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი მაქსიმალურად უწყობს ხელს პედაგოგებს და აწვდის ინფორმაციას და საჭირო მეთოდურ ლიტერატურას.

ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა პროფესიული განვითარების მექანიზმები და კვლევის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით პერსონალის განვითარების გეგმა,

3.2.1 (2) ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას, სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების განვითარების დოკუმენტებში არის აღწერილი, თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის კარიერული ზრდისთვის ხელშეწყობას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის კარიერული ზრდისთვის მიმართავს სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციას მასწავლებლების გადამზადების მოთხოვნით, გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკას დირექცია ამარაგებს მეთოდური ლიტერატურით, რომლითაც სარგებლობენ მასწავლებელბი. მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე რეგისტრაციის მიზნით სკოლა ინფორმაციას აწვდის მასწავლებლებს. სკოლამ წარმოადგენა შვდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სადაც ჩანს, რომ პროფესიული განვითარების აქტივობებს სკოლა სკოლა გეგმავს არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ სხვა პერსონალის პროფესიული/კარიერული ზრდის კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საინფორმაციო მენეჯერისა და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უწყობს ხელს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი, თანამშრომლობაზე აგებული გარემო, და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის აქტივობების ერთ-ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს დაზუსტებული ინტეგრაციის ფორმები, საშუალებები და მექნიზმები დოკუმენტის სახით, პრაქტიკის არსებობა დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება; სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიეწოდებოს ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში.

**სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებით.

ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების მექანიზმები.

სკოლის მიერ ჩატარებული საჭიროებების კვლევით დგინდება, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ, რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით.

ვინაიდაინ სკოლას აქვს წარმოდგენილი მექნიზმები, თუ როგორ ახორციელებს სკოლაში დასაქმებული მთელი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, შესაბამისად,

3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება'' (30/11/2020 N1/კ-83 ბრძანება)
2. „სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი“ (სკოლის დირექტორის 23/05/2023 წლის N2-141 ბრძანება).
3. საჭიროებების კვლევს კითხვარი;
4. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.**

   სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი - „სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი", რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები.

ვიანდაინ სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი,

**3.3.1(1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, როგორიცაა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, პერსონალის შერჩევის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვ. დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია , საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

შესაბამისად, **3.3.1(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის თანახმად, სკოლის დირექცია საჩივარზე რეაგირებას ახდენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების'' შესაბამისად. შინაგანაწესი, სკოლის თანამშრომლებთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ჩანაწერს, რომ მასწავლებელს, აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის და მასწავლებლის არამართლზომიერი და უკანონო ქმედებები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს დისიცპლინური გადაცდომების შესახებ გადაწყვეტილების სამეურვეო საბჭოში გასაჩივრებას. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის N 2-362 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N 115 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა“, სადაც დეტალურადაა განხილული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების და საჩივრის განხილვის პროცედურები. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის N 2-362 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N 115 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა“;
- „სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმი“
- სკოლის შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულებები
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.**

   სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლა ატარებს გამოკითხვებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, სკოლას კი საშუალება ეძლევა მიიღოს უკუკავშირი და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი ნაბიჯები.

   სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმებით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. დირექტორის განმარტებით, მშობელთა ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით შექმნილია მშობელთა გაერთიანებები. სკოლის ფეისბუქ გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლა მას აქტიურად იყენებს ინფორმაციის განსათავსებლად. **3.3.2**(1) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

   სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის, კურიკულუმების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების/საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამაებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სკოლის ახალგაზრდულ ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის კავშირს საზოგადოებასთან და მშობლებთან, კომუნიკაციას თემსა და სკოლას შორის, მონაწილეობს არაფორმალური განათლების განვითარებაში, თანამშრომლობს იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ სკოლის მისწრაფებებს მოსწავლეებთან მიმართებით. ცენტრს აქვს დებულება, რომელშიც გაწერილია მიზნები და ამოცანები, შემადგენლობა და წევრათა უფლება-მოვალეობები, მოსალოდნელი შედეგები და სამუშაო გეგმა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად,

**3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კოლეგიალური ორგანოების ოქმები*
- *ახალგაზრდული ცენტრის წესდება, თანდართული დოკუმენტაცია*
- *მშობელთა კრებების ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ემსახურება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლას სურს განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ერთ მისამართზე.

სკოლის სასწავლო კორპუსის ძირითადი შენობა ოთხსართულიანია. იგი დაკავშირებულია გადასასვლელი ხიდით (დერეფნით) ორსართულიან შენობასთან, რომელიც სასკოლო ბარათში მოხსენიებულია დამხმარე სპორტული ნაგებობის სტატუსით. სასწავლო კორპუსი გარემონტებული და ადაპტირებულია.

სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შეფასების მიზნით ჩატარდა სკოლის შენობების ვიზუალური დათვალიერება, დირექციისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიუირება და სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა. შედეგად დადგინდა, რომ:

- სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები (ბრძ.N 1/კ-218, 31/10/09);
- სკოლას 2023 წლის 12 სექტემბრის N 2-361 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ სსიპ -ქალაქ თბილისის N 115 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი“;
- სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ, თუმცა არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;
- სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების მდგრადობის დოკუმენტი, თუმცა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან.
- შენობა-ნაგებობას არ აქვს გავლილი სახანძრო უსაფრთხობის კონტროლი სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურში. თუმცა სკოლას აწარმოებს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების

მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე წერილობით კომუნიკაციას შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (მიწერილობა MES 0 23 0001084764, 05/09/2023)

- სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
- სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. თუმცა კაბინეტში არ არის გამყოფი შირმა პაციენტის გასიჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად. ასევე არ არის მხედველობის ცხრილი, ხელის სანათი, კისრის ფიქსატორი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა.
- სკოლაში დასაქმებულია პედიატრის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელსაც აქვს ექიმის დამოუკიდებელი საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.
- სკოლის ეზოს ძირითადი ნაწილი მოწესრიგებულია, პერიმეტრი ასფალტირებულია, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე ბალახი გათიბულია.
- სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, გასასვლელებზე არის სპეციალური მანიშნებლები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება,რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, სკოლას არ გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, ვერ დგინდება შენობის ტექნიკური მდგომარეობა(მდგრადობა).

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და დაწყებისა და დასრულების თარიღები. მიმდინარე პერიოდში მოხდა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის უზრუნველყოფა , წარმოდგენილია შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს გეგმაში დათქმულ ვადებში :

ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;

ბ) შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

გ) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

შესაბამისად **3.4.1.(1) ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

საჯარო სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის იანვრის 06/ნ ბრძანება. (აღნიშნული მითითებულია სკოლის შინაგანაწესში) სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლა აღჭურვილია უსაფრთხოების კამერებით გარე და შიდა პერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა განთავსებულია იზოლირებულ, დაცულ სივრცეში. მის ადმინისტრირებას , სასწავლო პროცესის დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

მანდატურებისთვის გამოყოფილია სამუშაო ოთახი შენობის პირველ სართულზე. შენობის დაცვას უზრუნველყოფს დღის ერთი და ღამის ორი დარაჯი. გამოყოფილია ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მანდატურები და სკოლაში დასაქმებული სხვა პირები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კლასის დამრიგებლები ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოიყენებს სსიპ საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური ცენტრის მომსახურებას. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე უფლებამოსილი პირი.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა,რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და პროექტებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. აქტიურად თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს ექსპერტების ყურადღება მიიპყრო სისუფთავემ და მოწესრიგებულობამ. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი დაწესებულების პირველ სართულზე. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, თხევადი საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლას ჰყავს ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაო აღწერილობით. სკოლაში ვიზიტის დროს , სველ წერტილებში არ იყო გამოკრული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი. სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგისათვის გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება როგორც ქალაქის დასუფთავების სამსახურთან (ნაგვის გატანა), ასევე სადერატიზაციიო სამსახურთან - სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სკოლის შენობების პროფილაქტიკური დამუშავების ორგანიზებას. სკოლას მარაგში აქვს სადეზინფექციო ხსნარები. სკოლის ტერიტორია მოვლილი და მოწესრიგებულია.

**ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.**

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. სკოლაში არსებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა საქმისმწარმოებლის პასუხისმგებლობაა. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები", სადაც დეტალურადაა გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები.

**ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.**

სკოლამ წარმოადგინა 15/02/2021-ის სსიპ -ქალაქ თბილისის N 115 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 2-21-ით დამტკიცებული „ სსიპ - ქალაქ თბილისის N 115 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების" დოკუმენტი. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ყავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია და შესაბამისად მასზე წვდომა აქვთ უფლებამოსილ პირებს სისტემაში შესვლის სპეციალური პაროლის მეშვეობით. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება კარადებში, რომლებიც იკეტება. მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება იზოლირებულად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები დამუშავებულია საარქივო წესით, ინახება ცალკე ოთახში, წვდომა აქვს საქმისმწარმოებელს.

სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინტერნეტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდის და ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებენ უფლებამოსილი პირები.

**ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია**

**ინდიკატორი 7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც მოიაზრებს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. ჯგუფის ფარგლებში დირექტორის მოადგილეს ეკისრება ფუნქცია, რომელიც ზოგადად არის ფორმულირებული: „სკოლის უსაფრთხოებისა და დისციპლინური საკითხების თავმოყრა და ანალიზი“.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით , დაწესებულებამ პერიოდულად უნდა შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათი გაუმჯობესების მიზნით. სკოლის განმარტებით, შესაძლებელია სკოლის მიერ გამოყენებული იქნეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები და სხვა. საჯარო სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

**ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- სკოლის „ხარისხის მართვის მექანიზმი“
- სკოლის დირექტორის ბრძანებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები
- საგანგებო მართვის გეგმა
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სასკოლო კორესპონდენცია

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ შენობაში, ერთ მისამართზე - ერთი სასწავლო კორპუსი და მეორე დამხმარე სპორტული ნაგებობა (სკოლის ბარათის მიხედვით) - თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ. ექსპლუატაციაში მიღებულია 31.08.1977 წ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 7278 კვ.მ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) სკოლის ძირითადი შენობა - სასწავლო კორპუსი , 4 (ოთხი) სართულიანია. საჯარო რეესტრის განახლებული ( 14/09/2023 წ) ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 17604, 000კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 704,41 კვ. მ -ია (ნაგებობა N1). სკოლის ეზოში განთავსებულია საქვაბე, რომელიც მიშენებულია ძირითად სასწავლო კორპუსზე და არ არის იზოლირებული (ნაგებობა N2). უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №01.11.10.001.200. სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლაში სულ 86 საკლასო ოთახია, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამებია, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობაში არის ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული), ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლო, მანდატურებისათვის განკუთვნილი ოთახები, რესურსოთახი და სხვა ძირითად და დამხმარე სივრცეები. ყველა სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც, განთავსებული შენობის პირველ სართულზე. სკოლის შენობის პირველი სართულის ნაწილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შესასვლელში მოწყობილია პანდუსი.

ბ) სკოლის დამხმარე სპორტული ნაგებობა , მდებარეობს იგივე მისამართზე , 2 (ორ) სართულიანია. საჯარო რეესტრის საკადასტრო გეგმის ამონაწერის მიხედვით, სკოლის ნაგებობა განთავსებულია 206 .კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი იგივეა.

სკოლის დამხმარე სპორტული ნაგებობა ძირითად შენობას უკავშირდება დამაკავშირებელი ხიდით. ნაგებობა არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. შენობის აღნიშნულ ფლიგელში არ ფუნქციონირებს სველი წერტილები. შენობაში განთავსებულია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, 10 ოთახი, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. სამ ოთახში განთავსებული არის ერთადგილიანი მერხები და სკამები, ასევე მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარი. დამხმარე შენობის ოთახები არ არის გარემონტებული. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი , გარდა ძირითადი კორპუსისა, მიმდინარეობს დამხმარე შენობის რამდენიმე ოთახში, სადაც ოთახების მდგომარეობა, ფართი და კონფიგურაცია არ უწყობს ხელს სასწავლო პროცესის ხარისხიან

განხორციელებას, რადგანაც ვერ თავსდება მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხების რაოდენობა. აქ განლაგებულია მე-11 კლასების საკლასო ოთახები. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, გათვალისწინებულია მეთერთმეტე კლასელების მშობელთა სურვილები , სასწავლო პროცესი განხორციელებულიყო პირველ ცვლაში და მოუწიათ აღნიშნული ოთახების გამოყენება. რადგანაც სკოლა ორცვლიანია, მეორე ცვლაში სავსებით შესაძლებელია ძირითადი შენობის კეთილმოწყობილი საკლასო ოთახების ათვისება. სკოლის საათობრივი ბადის შესწავლით და შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ პირველ ცვლაში ათვისებულია ძირითადი კორპუსის ყველა საკლასო ოთახი , ხოლო მეორე ცვლაში 11 საკლასო ოთახი არის თავისუფალი და საათობრივ ბადეში ცვლილების შეტანით შესაძლებელია ძირითად კორპუსში სასწავლო პროცესის ყველა კლასისთვის უზრუნველყოფა.

სკოლის ეზოში არის გარე სპორტული მოედანი. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი საკლასო ოთახი , ლაბორატორიის ინვენტარისთვის იყენებს საცავს, რომელიც დაკავშირებულია საკლასო ოთახთან. საჭიროების შემთხვევაში, ხდება საკლასო ოთახების გაცვლა და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ლაბორატორიის სერვისებით.

სკოლის კუთვნილებაშია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის და მოსწავლეთა რაოდენობისთვის საჭირო ინვენტარი:

133 კომპიუტერი (+17 მასწავლებლის), 56 დაფა, 2192 ერთადგილიანი მერხი, 4014 ეგზ. მხატვრული ლიტერატურა, 720 მეთოდური სახელმძღვანელო, სპორტული ინვენტარი (რაც დასტურდება შესყიდვებით ან ჩუქების აქტებით).

რადგანაც საკლასო ოთახები და ინვენტარი არ არის ეფექტურად განაწილებული კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, მივიჩნიეთ, რომ ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა , განრიგი და ფაოტომასალა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ ხარვეზი აღმოიფხვრა- მეთერთმეტე კლასების სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის გარემოში.**

**შესაბამისად, ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის ორივე შენობაში სასწავლო პროცესი ორ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, რომელშიც სამკითხველოც არის მოწყობილი, კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა სპორტული დარბაზი არ არის ხელმისაწვდომი სსსმ მოსწავლეებისათვის - სკოლის სპორტულ დარბაზში ჩასასვლელად, კიბეებზე არ არის მოწყობილი პანდუსი. დარბაზში შესვლა შესაძლებელია ასევე ეზოს მხრიდან, თუმცა ალტერნატიულ შესასვლელთანაც არ არის მოწყობილი პანდუსი.

**3.5.1.2.ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რადგანაც**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და დაწყებისა და დასრულების თარიღები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოახდინოს შშმ პირთათვის სკოლის სპორტული დარბაზის, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დათქმულ ვადებში (30.10.2023 – 30.10.2023)**

**3.** სკოლაში სწავლობს 33 სსსმ მოსწავლე (მ.შ. ერთი ეტლით მოსარგებლე), რომლებსაც ემსახურება 4 სპეცმასწავლეელი, 1 ფსიქოლოგი. სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც მუშაობენ სპეციალური პედაგოგები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მათ საქმიანობას.
**სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის.** კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზეა ორის ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლის დერეფნის ერთ ნაწილში მდებარეობს ელექტონული პნდუსი, რაც ხელმისაწვდომს ხდის რამდენიმე საკლასო ოთახში ეტლით მოსარგებლეს გადაადგილებას . თუმცა, **ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი.** ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს,

**3.5.1.3. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რადგანაც**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, დაწყებისა და დასრულების თარიღები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია , მოახდინოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისთვის შენობის პირველი სართულის ერთი ფლიგელის, მეორე-მეოთხე სართულების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა დათქმულ ვადებში (30.10.2023- 30.10.2024)

4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას, დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. სკოლის დერეფნები მოხატურლია სკოლის მოსწავლეების მიერ. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას .

**3.5.1.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ბიბილიოთეკაშია მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსცებსაც. წიგნადი ფონდი აღრიცხული და საბიბლიოთეკო წესით დამუშავებულია. არსებობს მკითხველთა ფორმულარები.
კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტით უზრუნველყოფილი პერსონალური და პორტატული კომპიუტერები. ოთახში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები. განსაზღვრულია ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მეთვალყურეობს კომპიუტერული რესურსით სარგებლობას.
საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საცავში განთავსებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები, მერხები, ცდების სადემონსტაციო მაგიდა, ონკანები და კარადები. კარადებში - პრეპარატები, თვალსაჩინოება და დამხმარე რესურსი. სკოლას აქვს

სპორტული დარბაზი და ღია მოედანი კალათბურთის ფარებითა და ფეხბურთის კარებით. სკოლა სარგებლობს ეზოს კეთილმოწყობილი სივრცეებით  სხვადასხვა აქტივობებისთვის - დასვენებისთვის, სადისკუსიო აქტივობებისთვის .

სკოლას გააჩნია მრავალფეროვანი რესურსი (რუკები, პლაკატები, მოდელები, სპორტული ინვენტარი და სხვ.).

სკოლას გააჩნია სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების სისტემა.  სკოლის წყალმომარაგების სისტემა უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი, სასწავლო და სამეურნეო მიზნებისათვის (ხელების დაბანა, ცდების ჩატარება, ტუალეტების ჩარეცხვა, სათავსების და ინვენტარის დასუფთავება).

**3.5.1.5.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება  (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების  მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები, სპორტული ინვენტარი და სხვ.);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

o *გთხოვთ,   ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია  მხოლოდ  ერთი  გრაფის  მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

#### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლამ წარმოადგინა „ციფრული განვითარების გეგმა“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილიტექნოლოგიების გამოყენებისა და განვითარების მიმდინარე და სამომავლო პროცესები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ახლანდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია გამოყენების გრაფიკი. სკოლას აქვს 133 კომპიუტერი (პერსონალური და პორტატული), პროექტორები, მრავალფუნქციური პრინტერები. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბოლატორია მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია ისტ-ის მასწავლებელი.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია.

**3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. „სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან" ჩანს, რომ სკოლაში არის სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად, ამავე წესში გაწერილი განრიგის შესაბამისად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის ისტ-ის მასწავლებელი.

**3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები
- ბრძანება კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს.
საქმისწარმოების საერთო წესში გაწერილია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესები. კორესპონდენციის ნაწილი მუშავდება ელექტრონულად, ნაწილის დამუშავება ხდება მატერიალურად, რისთვისაც იწარმოება საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ხელშეკრულებების რეგისტაციის ჟურნალი. შემოსული და გასული კორესპონდენცია მუშავდება ელექტრონულად. სკოლამ წარმოადგინა დამუშავებული კორეპონდენციის ელექტრონულ რეესტრი.
სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და ა.შ. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი.

**3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: tbilisi115@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ასევე, დაწესებულებაში გამოიყენება ელ.ფოსტა და ღრუბლოვანი სივრცეები (Google



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

drive, office 365) თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშესაწყობად. აქ ტვირთავენ მასწავლებლები თავიანთ დოკუმენტაციას, პროფესიულ საქაღალდეებს, კურიკულუმებს.

**3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.

**3.6.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშის წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრსა და პარლამენტს, უზრუნველყოფს აღნიშნული ანგარიშის „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

**3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;

- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**ინდიკატორი 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.**

სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლის ვებ-გვერდი დამზადებულია და ტექნიკური პრობლემის გამო არ მოქმედებდა. თუმცა, ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრა და წარმოადგინა მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იყო პირველადი ინფორმაცია.

სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომინიკაციას ასევე წარმატებით ახორციელებს სოციალურ ქსელში (FACEBOOK.COM) შექმნილი სკოლის გვერდის საშუალებით.

გვერდებზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი, რისი გამოყენებითაც შესაძლებელია დაწესებულებასთან კომუნიკაციის მიზნით შეტყობინების გაგზავნა.

საზოგადოებასთან კომუნიკაცია ასევე ხორციელდება სხვა არხებით: იმართება ღია კარის დღეები, განსაზღვრულია სკოლაში ვიზიტის დღე.

ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, მაგალითად, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი/მექანიზმი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

**ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი და სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სწორი და დროული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ამ ეტაპზე სკოლა ვებ-გვერდის გარდა იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლა გეგმავს ხარისხის მართვის დოკუმენტით გაწერილი რეგულაციების განხორციელებას, რომელშიც ასახულია სკოლის მიერ ინფორმაციის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხიდან მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენების ზოგადი პროცედურები საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს სასკოლო საზოგადოების აზრის/შეხედულებების გამოსაკვლევად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ კითხვარების ნიმუშებს, რომლითაც ხორციელდებოდა გამოკითხვა. შემდგომი ეტაპია - კითხვარების დამუშავება და ტენდენციების გამოკვეთა, რის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები.

3.6.3.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.**

სკოლა ახორციელებს სწავლებას სახელმწიფო (ქართულ) ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge , რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ დღეისათვის განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულად.

**შესაბამისად ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლის მოქმედ ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია სკოლის შესახებ: ზოგადი მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა, შირებულებები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, სასსკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვ. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს, შესაბამისად **ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/96
- სკოლის ფეისბუქ-გვერდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის მართვის დოკუმენტი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის მოქმედი ბიუჯეტი და 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდანაც აქვს გარკვეული შემოსავალი - იჯარითაა გაცემული ფართი. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები  აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის  თაობაზე.  სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლაში მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს, ხდება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება. წარმოებს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ. **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება  (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების  მტკიცებულებები.*

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
- სკოლის 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები ბიუჯეტის დამტკიცებაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის ბრძანება - „სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიში
- შემოსავალ-გასავლის უწყისები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 6. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი, შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს დარაჯი, მანდატური, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. სკოლაში დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული რიგი უფლებები მოსწავლეთა განათლების მიღებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით (შინ სწავლება, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, ექსტერნატის გამოცდა, სემესტრული გამოცდა). სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სსსმ მოსწავლის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული რეგულაციები (ისგ ჯგუფის შემქნა, ისგ შექმნის რეგულაცია, შეფასების და გაცდენების საკითხი).

სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში

სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **4.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში, გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.

. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
3. მშობელთა კრების ოქმი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
6. სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები.**4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოცილურ ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში არის განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - საინფორმაციო მენეჯერი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ხშირად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. სკოლა იყენებს ონლაინ-

გამოკითხვებს სასურველი თემების განხილვის მიზნით. ასევე სხვა საკომუნიკაციო არხებს - ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, დამრიგებლების ჩატები, სატელეფონო კომუნიკაცია, განცხადებების დაფა სასკოლო ფოიეში. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომუნიკაციის სტრატეგია, სადაც გათვალისწინებულია ინფორმაციის გავრცელების საკითხები. პანდემიის პერიოდში სკოლის დირექტორმა შექმნა დახურული ჯგუფი, სადაც გაწევრიანა სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი. აღნიშნული ჯგუფი ისევ აქტიურად გამოიყენება კომუნიკაციისთვის და ხდება ინფორმაციის გავრცელება 4.1.2.4. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- კომუნიკაციის სტრატეგია;
- დამრიგებლის დებულება;
- დირექტორის ბრძანებება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ
- ვებ-გვერდი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს მირითადად პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს .

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდებიან პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობენ სასკოლო გარემოს, მას შემდეგ რაც ისინი დარეგისტრირდებიან სკოლაში, აწარმოებენ ინტერვიუებს მოსწავლის მშობლებთან, ეცნობიან ბავშვების პორტფოლიოებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების უკეთ გასაცნობად. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ორგანიზებულად, საზეიმო ვითარებაში ხვდება პირველკლასელებს. სპეციალურად მორთული საკლასო ოთახები მოსწავლეებს პირველივე დღიდან უჩენს დადებით განწყობას სასკოლო გარემოსადმი. პირველკლასელების დამრიგებლები აწყობენ ექსკურსიებს სასკოლო შენობაში სხვადასხვა სივრცეების დათვალიერების მიზნით.

სასკოლო ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით, დაწყებითი საფეხურიდან შემდგომ საფეხურზე გადასვლისას, შემსვლელი მასწავლებლები თანამშრომლობენ კლასის ყოფილ დამრიგებლეთან და სხვა შემსვლელ პედაგოგებთან, რათა შეისწავლონ მოწავლეთა საჭიროებები და გაითვალისწინონ მუშაობის პროცესში.

დამრიგებლები მუდმივად ზრუნავენ, რომ ახალგადმოსული მოსწავლე ადვილად ადაპტირდეს კლასთან, წინასწარ ესაუბრებიან მოსწავლეებს, აწვდიან ინფორმაციას ახალი მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და შესაბამისი ქცევების შესახებ. ახალმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი წარუდგენს მასწავლებლებსა და თანაკლასელებს, აცნობს სასკოლო სივრცესა და მოსალოდნელ ქცევებს, სკოლის შინაგანაწესს. შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამები. სკოლის განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან სკოლის სადამრიგებლო პროგრამებში გამახვილდება ყურადღება ადაპტაციის შიდასაკლასო მექნიზმებზე.

სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში. **4.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. საკლასო ოთახების ინვენტარი და ინტერიერი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას დერეფნებში დაგვხდა მოხატული კედლები - მოსწავლეების მიერ შექმნილი თემატური არტები. სადამრიგებლო მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა მხარდაჭერისაკენ. სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსოთახი, არაფორმალური ინტელექტუალური, სპორტული და სახელოვნებო აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის გამოცხადების გზით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. სკოლა, ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დასკვნის მომზადებას. მშობლის მიერ აღიარების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ, მოსწავლის და მშობლის სურვილის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. საგნის მასწავლებლებლებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ითვალისწინებენ მათ სასწავლო პროცესის დადგემვის დროს. კლასის დამრიგებლების ვალდებულებაა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს შესაბამისი პრაქტიკა და 2023-2024 სასწავლო წელსაც გეგმავს მოსწავლეთა რემედიაციის პროგრამის განხორციელებას დაწყებით საფეხურზე. მოსწავლეებსა და მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში არსებული მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. მოსწავლეთა მხარდასაჭერად სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებასა და დიფირენცირებული სწავლების მიდგომებს.

**4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. სკოლამ გაგვიზიარა საკლუბო საქმიანობის ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობად გარდაქმნის პრაქტიკა. ა
ღსანიშნავია, რომ ცენტრის აქტივობებში მონაწილეობა შეუძლია სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს.

**4.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში არაფორმალური განათლების გაძლიერების, მოსწავლეთა თვითრეალიზების, ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში მოსწავლეთა მაღალი ინტერესის გამო დაფუძნდა სპორტული კლუბი, რომლის მიზანი ძირითადად სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძებების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება გახლდათ. სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის განხორციელდა სკოლის პარტნიორი ორგანიზაციის ,,World Vision“ საქართველოს მიერ ტრენინგი, სკოლებში არაფორმალური

განათლების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. სკოლას უკვე ქონდა საკლუბო გამოცდილება, ამიტომ მოხდა სპორტული კლუბის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე შექმნა სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი „ტიტანები“, რომელშიც გაერთიანდა სკოლაში არსებული სხვადა კლუბები, რომლებიც ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. **4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. პანდემიის პერიოდში სკოლის დირექტორმა შექმნა დახურული ჯგუფი, სადაც გააწევრიანა სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი. აღნიშნული ჯგუფი ისევ აქტიურად მოქმედებს და ხდება ინფორმაციის მიმოცვლა, უკუკავშირის მიღება. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების მეთოდები და შესაბამისი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებას.

სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას . აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებს ჩართავს არა მხოლოდ აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვის, არამედ შეფასებისა და გადასინჯვის პროცესშიც. მოსწავლეებთან ერთად ღირებული უკუკავშირის მოცემა შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებსაც, იქნებიან ეს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები თუ თემის წევრები. სკოლა სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას შეაგროვებს მონაცემებს გაწეული მომსახურების შესახებ მოსწავლეების გამოკითხვით, ანკეტირებით, ინტერვიუირებითა და სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული მონაცემები გაანალიზდება და შესაბამისად სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში მოხდება საჭირო ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება.

**4.2.1.6 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- დამრიგებლის სამუშაო დებულება
- კლუბების დებულებები
- ახალგაზრდული ცენტრი „ტიტანის“ წესდება და სამოქმედო გეგმა
- ხარისხის მართვის მექანიზმი
- არაფორმალური აქტივობების ამსახველი მასალა

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა , რომლის თანახმადაც სკოლა თანამშრომლობს რამდენიმე პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელთან, ბიზნეს-სექტორთან, კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს იმ პროფესიებზე, რომელიც მილევადია და აღმოჩნდება ამ პროფესიის დეფიციტი. კლასის საათის მიზანი იქნება ქვეყნისათვის საჭირო პროფესიის პოპულარიზაცია. აგრეთვე სკოლა აწარმოებს თემში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების საქმიანობის კვლევას და მათი პროფესიის პოპულარიზაციას. პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მოწვევა და საუბარი მათ პროფესიაზე, პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. პროფორიენტაციის მიმართულებით ხდება მასწავლებლების გადამზადება, რომლებიც შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. **4.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან/მიაწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა აქვს პრაქტიკა და კვლავაც გამოხატავს მზაობას მიიღოს პროფესიული თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რათა მათ ადგილზე გააცნონ მომავალ სტუდენტებს თავიანთი პროგრამები. კლასის დამრიგებლების საშუალებით მოსწავლეებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია ღია კარის დღეებთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.2.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პროფორიენტაციის პროექტებში მონაწილე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. ამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, რა დადებითი გავლენა მოახდინა მათ შვილებზე აღნიშნულ პროექტში ჩართვამ. მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს. კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით სკოლა ახორციელებს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მოკვლევებს, აქვს მონაცემები, თუ რამდენი კურსდამთავრებული ჩაირიცხა პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებელში, ასევე ინტერესდება მათი დასაქმებით.

**4.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა;
- პროფორიენტაციის განხორციელებული აქტივობების მასალა
- მემორანდუმები პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან
- სადამრიგებლო პროგრამები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბოლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. სპეციალურმა მასწავლებლებმა წარმოადგინეს მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები

**ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. სპეციალურმა მასწავლებლებმა წარმოადგინეს პირველკლასელტა ტრანზიციის გეგმა, სადაც ნათლად ჩანს მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლეთა მშობლებთან და საგნის მასწავლებლებთან. სპეციალურ

მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მშობელთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების დასადგენად, ხოლო მასწავლებლებთან- საჭიროებაზე მორგებული ინდგეგმების შემუშავებისა და პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის. დაგეგმილის გარდა, ხშირად ტარდება სამუშაო შეხვედრები ექსპერტების ჩართულობით, სპეცმასწავლებლები თანამშრომლობენ ტრენერებთან და ხშირად ესწრებიან ტრენინგებს. მნიშვნელოვანია დირექციის მხარდაჭერა. სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან - სკოლაში სტაჟირებას გადიან ინკლუზიური განათლების ფაკულტეტის მაგისტრანტი სტუდენტები.

**ინდიკატორი 4.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ისგ
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- მემორანდუმები
- გამოკითხვის მასალები

**4.2.4.** სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ამ ეტაპისთვის სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის სპორტული და ცეკვის წრეები, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. **ინდიკატორი 4.2.4.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, სპორტული და ცეკვის წრები, ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

**ინდიკატორი 4.2.4.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლება დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის გავლით. ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **4.2.4.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დადებული იჯარის ხელშეკრულებები;
2. ზემდგომი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა;
3. ელექტრონული აუქციონის ჩატარების დამადასტურებელი მასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც მოიაზრებს მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას. სემესტრის ბოლოს ანალიზის ან/და კვლევის საფუძველზე დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები, პროცესზე დაკვირვებისას პედაგოგები გამოკვეთენ სასწავლო მიზნებს; კურიკულუმის შედგენის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებითის კათედრა განიხილავს პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. სასწავლო წლის ბოლოს, კათედრის წევრები მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთენ სწავლა-სწავლების პროცესის ხარვეზებს/მიღწევებს და განსაზღვრავენ სამომავლო საქმიანობის მიზნებს, რომლებშიც აისახება პრიორიტეტული საკითხები;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს, გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, შემუშავებულია და ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამები. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლის განვითარებისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერის თვალსაზრისით; აქტივობები ხორციელდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებით. სკოლა მომავალში მიზნად ისახავს არაფორმარული განათლების გაძლიერებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენელმა პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მოსწავლეების ცოდნა, ინტერესთა სფერო, გამოცდილება. სკოლას აქვს ხედვა და მზაობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი ციკლურია, პროცესის თანამონაწილეები არიან, როგორც დაწყებითის ასევე სხვადასხვა კათედრები, მასწავლებლები, მოსწავლეები, რიგ შემთხვევებში - მშობლებიც; დაწყებითი კლასების მასწავლებლები პროცესის მიმდინარეობისას ეყრდნობიან წინა წლის გამოცდილებას და ახორციელებენ მოდიფიცირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია თითოეულ ინდივიდზე და ითვალისწინებს თანამედროვე სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს; პრიორიტეტების განისაზღვრება დაწყებითების კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების/ მიღწევების მიხედვით; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაწყებით საფეხურზე, ტარდება მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სიახლეების შესახებ; მშობლები ეცნობიან წინასწარ გაწერილ კომპლექსური დავალების ეტაპებს, დაწყებითების კათედრაზე მომზადებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რომელთაც კლასის დამრიგებელი უზიარებს მშობლებს, პირისპირ ან/და ონლაინ ფორმით; სოციალურ ქსელში, (როგორიცააTeams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის). სკოლის გვერდზე, პერმანენტულად ხდება გაზიარება დაწყებითი კლასების კათედრაზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/თემისთვის, გარდა ამისა, შექმნილია კლასის (დახურული) ჯგუფები, რომელშიც დამრიგებლები, ყოველდღიურ რეჟიმში აზიარდებებ სიახლეებს, განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას, მიზნობრივ რეკომენდაციებს/სტატიებს აღმზრდელობით საკითხებსა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ; აგრეთვე, სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განახლების ეტაპზეა. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება საინტერესო/სახალისო აქტივობების ნუსხის განახლება, მოსწავლეთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**
2. **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ითვალისწინებს მოსწავლეთა თავისებურებებს და შესაძლებლობებს. კერძოდ, სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. კურიკულუმის განხორციელების პროცესში , რიგ შემთხვევებში, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების გამოკვეთისას, ხდება ცვლილების შეტანა. ყოველი ასეთი ცვლილება ზიარდება კათედრის წევრებს შორის; განსაკუთრებული აქტიურობა ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით, ჩანს პარალელურ კლასებში შემსვლელი პედაგოგების კომუნიკაციისას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები( სახელმძღვანელო, დამატებითი რესურსი ) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**2.** სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, გარდა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზებისა, არის მათი თანამედროვე სამყაროსთვის მომზადება, რაც მოიცავს ტექნოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს. სკოლაში განხორციელებული და მიმდინარე სასკოლო პროექტები, კურიკულუმები სრულად ორიენტირებულია შესაბამისი უნარების განვითარებაზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დეტალურად არის ასახული გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნული მიზნების შესაბამისად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, იგეგმება სასწავლო აქტივობებიც. დაწყებით საფეხურზე კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, შემოქმედებითობის გაღვივება უმნიშვნელოვანესია სამომავლოდ მათი საზოგადოებაში ადაპტაციისთვის. მასწავლებლები მუშაობენ თემების მიხედვით, იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს, არ არიან ორიენტირებული მხოლოდ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე, პედაგოგები, ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდების გარდა, დამატებით ამრავალფეროვნებენ რესურსებს მოსწავლეებისთვის. სკოლის დაწყებით კლასებში აპრობირებული პრაქტიკაა ჯიპრაიდის მასალების გამოყენება. კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავებაზე. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც სასწავლო წლის მანძინზე მოხდება კომპლექსური ბუნების მქონე დავალების, პროექტების, წრეების ფარგლებში. ზემოთქმულს ასევე ადასტურებს სკოლის თვითშეფასების ფორმა და სკოლის წინარე გამოცდილება. ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ასევე გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) და მაკროცნებას (კვლევა).

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**3.** სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების ხედვა. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ ჯგუფი სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი და სპეციალური პედაგოგი., რომლებიც შემდგომში, მთელი წლის განმავლობაში, მუშაობენ მოსწავლესთან და მისი საჭიროებების და მოთხოვნილებების მიხედვით, უქმნიან მათ შესაბამის სასწავლო გარემოს. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ისარგებლონ რესურს ოთახით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი პედაგოგების მხრიდან, რომ იძლევა დიფერენცირების საშუალებას, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. შექმნილია ინკლუზიური გარემო, სწავლის პროცესი და შინაარსი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში დავალების მოდიფიცირებას. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი ამზადებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ანგარიშს, რომელშიც ჩანს სსსმ მოსწავლეების მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასკოლო სასწავლო გეგმისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ეროვნული გეგმის შესაბამისად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ (V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში) და განმავითარებელ სისტემას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვით შეფასება ხორციელდება ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემით დაწყებით საფეხურზე აპრობირებული და დამკვიდრებულია განმავითარებელი შეფასება, რომელიც აკვირდება/აკონტროლებს მოსწავლის განვითარების დინამიკას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. საამისოდ, მასწავლებელი აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს მოსწავლეზე მორგებული, დასახული ამოცანების მოდიფიცირების მიზნით. მოსწავლე შეფასების პროცესის თანამონაწილეა, ერთვება თანაშეფასებასა და თვითშეფასებაში, რაც შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფის საშუალებას იძლევა. დაწყებით საფეხურზე სკოლა აქვს სოლო ტაქსონომიით შეფასების პრაქტიკა და სამომავლოდ გეგმავს მის სრულყოფას სასწავლო პროცესში. ასევე, სკოლა გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კათედრის წარმომადგენლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და შესაბამის კომპეტენცია.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი კლასების კათედრა და შემდეგ სრულად პედსაბჭო, აჯამებს წლის განმავლობაში მოსწავლეების შედეგებს და მათი მიღწევების დონეებს, აფასებს სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც ყოველი შემდგომი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს არის გათვალისწინებული. კათედრის შიგნით ხდება კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, გამოცდილება და მზაობა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**
2. **გაკვეთილის შეფასების რუბრიკა;**
3. **კომპლექსური დავალება**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას მოსწავლეების ინტერესები და სურვილები მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული. კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი. ახალი მასალის ათვისებისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის მიზნობრივი, მოსწავლე კი საკუთარი წინარე ცოდნის გამოყენებით ახერხებს პროცესში აქტიურად/შემოქმედებითად ჩართულობას. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიაზროს სამიზნე ცნება, სიღრმისეულად გაიაზროს საკითხი, ააგოს ახალი ცოდნა წინაზე დაყრდნობით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში საინტერესო აქტივობების წარმართვა და სხვადასხვა პროდუქტების შექმნა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურობას. ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით მოსწავლე ეძებს სირთულეების დაძლევის გზებს, შემოქმედებითად უდგება საკითხთა შესწავლას. წრეები, არაფორმალურ გარემოში განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები და სასკოლო პროექტები, ასევე, აქტიურად და შემოქმედებითად რთავს მოსწავლეს სასწავლო პროცესში, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ

განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს გეგმავს ისე, რომ მოსწავლემ წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ შეძლოს სიახლეების დამოუკიდებლად აღმოჩენა. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით იყენებენ გონებრივი იერიშის მეთოდს, ფრონტალური კითხვების დასმას, შესასვლელ ბარათებს და ა. შ. მასწავლებელი სწავლის პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს, აქტივობები დაგეგმილია მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეული გააზრებისა და ტრანსფერის უნარის განვითარებაზე. სასწავლო თემის ფარგლებში დავალებები შედგენილია ისე რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას და აგებულია თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის პრინციპებზე. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, მასწავლებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენს მატრიცის თვითრეფლექსიას, და მის საფუძველზეც განახორციელებს სასწავლო პროცესის ცვლილებას. ყურადღებაქცევა იმას, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად აითვისონ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია, და ახალი ცოდნის მიწოდებაც მოხდეს კონსტრუქტივიზმის პრინციპზე დაფუძნებით. დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები,მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). თეორიულ ცოდნას საკითხის მიმართ მოსწავლეს მასწავლებელი აძლევს, თუმცა მოსწავლემ უნდა შეძლოს ამ ცოდნის რეალიზება და მისი სწორად გამოყენება. სკოლა აქტიურადაა ჩართული ახალი სკოლის მოდელში. აანალიზებენ სიახლეებს სწავლა/სწავლებაში, რომლებიც მოსწავლეებზეა მორგებული. აღსანიშნავია, რომ სკოლა სწავლებისას ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს დაწყებით საფეხურის ყველა კლასში, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა მორგებული და გვთავაზობს სასწავლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს საკითხი: შეძლოს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით პროდუქტის შექმნა და მისი გამოყენების მიზნის გააზრება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელების მიერ შერჩეული თუ შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამის ილუსტრირების საშუალებას იძლევა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები,წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები კი ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას, განსაზღვრული აქვთ, რა პროდუქტი უნდა შექმნან, რა ცოდნა და გამოცდილება უნდა დაიგროვონ მიმდინარე გაკვეთილებზე. მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა პრეზენტაციით წარმოადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას და აკეთებს თვითრეფლექსიას. დაწყებითი კლასების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირია, საგანთა შორის ინტეგრირებით ჩატარებული გაკვეთილები; რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებასა და რაიმე პროდუქტის შექმნაზე, ბუნებრივად მოიაზრებს მოსწავლის ყველა უნარის გააქტიურებას, ცოდნების ურთიერთდაკავშირებასა და ინტეგრირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა.
3. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი.
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
5. კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
6. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული თითოეული თემის/პარაგრაფის შესწავლა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენები სრულად გაითავისონ, საგაკვეთილო პროცესში წახალისებულია მათი ორიგინალური, გამორჩეული იდეები; დაწყებით საფეხურზე ამას მოწმობს მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტები და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება. სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესი მდგრადია სკოლაში, ყველა პედაგოგი (საგნობრივი მიმართულებით) ახორციელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტული მიდგომით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებას. ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ახლავს კომპლექსური დავალებების პირობები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორადაა განსაზღვრული სამიზნე ცნებების ქვეცნებები და ქვესაკითხები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლებს, ყურადღება გამახვილებული აქვთ არა მხოლოდ იმაზე, რამდენად ღრმა ცოდნას და ინფორმაციას მიიღებს მოსწავლე, არამედ იმაზეც, რამდენად დადებითად აისახება მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე შესაბამისი მეთოდებით შესწავლა. ამ თვალსაზრისით სკოლაში, არაფორმალური განათლების ჭრილში, განხორციელდა სასკოლო პროექტები: „ ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს. "კონფლიქტების მართვა" პროექტი შინაარსი და განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისობაშია ისეთი კომპეტენციების გააზრებასთან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები, კონფლიქტების მართვა, განსხვავებულობის აღქმა, ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობა და ა.შ. დაწყებით საფეხურზე, პროექტის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდა ემპათიასა და თანაგრძნობის უნარის წარმოჩენაზე. აგრეთვე განსხვავებული შესაძლებლობების აღიარების აუცილებლობის მნიშვნელობაზე, მავნე ჩვევების მიმართ მიდრეკილების აღმოფხვრასა და აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე; სკოლაში ამ მიმართულებით, მიმდინარე ეტაპზე, იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, კონკურსები, ვიქტორინები; ასეთი აქტივობები მოსწავლეებს ხელს უწყობს განუვითარდეთ გუნდურობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, აუმაღლდეთ ზოგადი ცნობიერება სხვადასხვა საკითხის მიმართ, იყვნენ დამოუკიდებლები. მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებები, ძირითადად, შეესაბამება საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ თემებს-პერმანენტულად ეწყობა მიზნობრივი ექსკურსიები (გაწერილი სასწავლო გეგმებითა და მიზნებით), გასვლითი (შემეცნებითი) გაკვეთილები, სასწავლო ტურები და სხვა;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რასაც ემსახურება სკოლის მიერ შეთავაზებული განმავითარებელი შეფასება და კომპლექსური დავალებები. საგნის შინაარსისა და ცნებების გააზრებით მოსწავლე ყოველ წელს აუმჯობესებს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში წახალისებულია ლიდერობა, კრეატიულობა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, სოციალური უნარები და სხვ. რომლის დროსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის განმავითარებელ შეფასებებს. მათ შორის: მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური სამუშაოს შეფასების რუბრიკებს, დებატების შეფასების რუბრიკას და სხვ. რიგ შემთხვევებში მოსწავლეები თავადაც მონაწილეობენ შეფასების კრიტერიუმები შემუშავების პროცესში. გამოცდილება აჩვენებს, რომ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში შეფასებისას კომენტარი მეტად ეფექტიანია მაშინ, როცა მას აქვს აღწერითი ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. პედაგოგებმა ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტესტების, პროექტების, პრეზენტაციების, ჯგუფური სამუშაოების სახით და სხვ. ეს შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს სხვადასხვა კუთხით შეაფასოს მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები, რაც ზრდის შეფასების ვალიდურობას და სანდოობას. მოსწავლეთა ყველა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (რუბრიკები), ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს, მათ იციან, რომელ დავალებაში რამდენი ქულით და რის მიხედვით შეფასებდებიან. ამ მეთოდით იზრდება გამჭვირვალობა და სამართლიანობა. მოსწავლეებს არ აქვთ უსამართლობის განცდა. ხშირად შეფასების კრიტერიუმების შექმნა ხდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებთან ერთად და მათთან შეთანხმებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი  თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. დაწყებითი კლასების კათედრა უფრო სპეციფიური მექანიზმებით მუშაობს, კერძოდ, განმავითარებელი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას; მრავალკომპონენტიანობა და სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული შეფასება მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივ გაანალიზებაში ეხმარება მათ. მოსწავლის შეფასება ხელმისაწვდომია მშობლებისთვის (ინდივიდუალურად), ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში (დაინტერესების შემთხვევაში, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა/გაღრმავების მიზნით), ისე სემესტრის ბოლოს; შეფასებისას, კათედრა, ითვალისწინებს მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, აანალიზებს მის მიღწევებს და შეიმუშავებს მხარდაჭერის მექანიზმებს.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი შეფასება და ა.შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. მოსწავლეთა მობილობის განხორციელების დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად. სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შეფასების ვერიფიკაცია;
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
5. თვითშეფასების ფორმა;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა;
7. კათედების ოქმები;
8. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოიყენება სწავლების უნივერსალური დიზაინი, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ახალზედა კადრის მიმართ კოლექტივის მიმღებლობა დადებითი და კონსტრუქციულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. კერძოდ, მასწავლებლები ჩაატარებენ გამოკითხვებს, საჭიროების კვლევას და სხვ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, დანერგილი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება;
3. სასკოლო პროექტი
4. ურთიერთდასწრების რეფლექსიები
5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
6. საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
7. საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
9. კათედრის სხდომის ოქმები;
10. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს დაწყებით საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების

ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება დაწყებითების კათედრებს, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. დაწყებით საფეხურზე ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჩატარდა მესამე და მეოთხე კლასებში, ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელბებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებასა და წარმატების გაზომვას. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის კიდევ უფრო ეფექტურად/მიზნობრივად ამოქმედდებას, რაც შეაფასებს მიღწევებს და ასევე გამოკვეთს მიმართულებებს, სადაც საჭიროა დახმარება/მხარდაჭერა. სკოლა გეგმავს გაძლიერებას ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
3. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება;
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
5. სასკოლო - სასწავლო გეგმა;
6. საგნობრივი კათედრების ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი (მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასში) შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის პროექტებით და პრეზენტაციებით. რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია.მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. მოსწავლეთა მრავალმხრივი კონტექსტით შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა , თვითგანსაზღვრა და სხვა)“ პედაგოგებმა ინტირვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით იქმნება სოციალური თუ კოგნიტურად ხელსაყრელი გარემო სასწავლო პროცესში; ამისათვის ფორმალურთან ერთად იყენებენ არაფორმალურ აქტივობებს, მაგ.: ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, იწვევენ სტუმრებს და სხვა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება სკოლას ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში; დაწყებითი კლასების კათედრაზე დამკვიდრებულია მოსწავლეთა შეფასებისას დროისა და სივრცის გათვალისწინება, მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე (მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე). მონაცემების შეგროვებისთვის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, მაგალითად, მოსწავლის სიტუაციის შესწავლისას შემფასებელი (დამრიგებელი, მასწავლებელი, დირექცია) მხედველობაში იღებს იმას, რომ ბავშვის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, არამარტო ოჯახი, მასწავლებლები და მეგობრები, არამედ მშობლების სამსახური, მშობლების სამეგობრო, სანათესავო, თემი

და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ( დაწყებითი საფეხური)

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, და კათედრის წევრებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან და მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი სასწავლო პროცესების გაანალიზება, თუ როგორია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, ასევე მშობელთა ჩართულობის, კათედრების მუშაობის, სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული მასწავლებელის მუშაობის შედეგების მიხედვით. დგინდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემების გაანალიზების და შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს კი ითვალისწინებენ ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და კურიკულუმის შესამუშავებლად და ითვალისწინებენ სამოქმედო გეგმის შედგენის დროსაც. საკუთარ ანალიზებზე დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი

საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე; კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლასთან თანამშრომლობენ საგნობრივი ექსპერტები. წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებს მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირის სახით. მიმდინარე ეტაპზე, დაწყებით საფეხურზე, მომდევნო სასწავლო წლისთვის მუშავდება კურიკულუმები; პროცესი ითვალისწინებს წლის მანძილზე გამოვლენილი დაკვირვების შედეგებს. კეთდება ანალიზი და ისე განისაზღვრება სწავლა-სწავლების მიზნები;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს , რომ კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, რომ აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის, გააზრება. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახულია მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და სხვ. .მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შედგენილია წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, არსებული შედეგების ანალიზის და მონიტორინგის საფუძველზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათში მოცემული თემებიც განსაზღვრულია წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. კერძოდ თემები და კომპლექსური დავალებები დაკავშირებულია წინარე ცოდნაზე და ხდება ეტაპობრივი განვითარება, რათა მოხდეს წინარე ცოდნაზე ახლი ცოდნის დაშენება.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
2. **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.

   მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. ასევე, კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგემვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებიან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავენ მოსწავლეთა ინტერესების სფეროებს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. სკოლაში განხორცილებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი ციკლურია, პროცესის თანამონაწილეები არიან სხვადასხვა კათედრები, მასწავლებლები, მოსწავლეები, რიგ შემთხვევებში - მშობლებიც; მასწავლებლები პროცესის მიმდინარეობისას ეყრდნობიან წინა წლის გამოცდილებას და ანახორციელებენ მოდიფიცირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია თითოეულ ინდივიდზე და ითვალისწინებს თანამედროვე სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს; პრიორიტეტები განისაზღვრება სხვადასხვა კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების/მიღწევების მიხედვით; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საბაზო საფეხურზე, ტარდება მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სიახლეების შესახებ; მშობლები ეცნობიან წინასწარ გაწერილ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალების ეტაპებს, კათედრებზე მომზადებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რომელთაც კლასის დამრიგებელი უზიარებს მშობლებს, პირისპირ ან/და ონლაინ ფორმით; სოციალურ ქსელში, (როგორიცაა Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის). სკოლის გვერდზე, პერმანენტულად ხდება გაზიარება კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/თემისთვის, გარდა ამისა, შექმნილია კლასის (დახურული) ჯგუფები, რომელშიც დამრიგებლები, ყოველდღიურ რეჟიმში აზიარდებებ სიახლეებს, განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას, მიზნობრივ რეკომენდაციებს/სტატიებს აღმზრდელობით საკითხებსა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ; აგრეთვე, სკოლას აქვს ბლოგი, რომელიც განახლების ეტაპზეა. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება საინტერესო/სახალისო აქტივობების ნუსხის განახლება, მოსწავლეთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ითვალისწინებს მოსწავლეთა თავისებურებებს და შესაძლებლობებს. კერძოდ, სკოლა საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. კურიკულუმის განხორციელების პროცესში , რიგ შემთხვევებში, მოსწავლეთა ინდივიდუალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროების გამოკვეთისას, ხდება ცვლილების შეტანა. ყოველი ასეთი ცვლილება ზიარდება კათედრის წევრებს შორის; განსაკუთრებული აქტიურობა ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით, ჩანს პარალელურ კლასებში შემსვლელი პედაგოგების კომუნიკაციისას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები( სახელმძღვანელო, დამატებითი რესურსი ) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, გარდა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზებისა, არის მათი თანამედროვე სამყაროსთვის მომზადება, რაც მოიცავს ტექნოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს. სკოლაში განხორციელებული და მიმდინარე სასკოლო პროექტები, კურიკულუმები სრულად ორიენტირებულია შესაბამისი უნარების განვითარებაზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დეტალურად არის ასახული გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნული მიზნების შესაბამისად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, იგეგმება სასწავლო აქტივობებიც. საბაზო საფეხურზე კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, შემოქმედებითობის გაღვივება უმნიშვნელოვანესია სამომავლოდ მათი საზოგადოებაში ადაპტაციისთვის. მასწავლებლები მუშაობენ თემების მიხედვით, იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს, არ არიან ორიენტირებული მხოლოდ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე, პედაგოგები, ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდების გარდა, დამატებით ამრავალფეროვნებენ რესურსებს მოსწავლეებისთვის. კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც სასწავლო წლის მანძინზე მოხდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური ბუნების მქონე დავალების, პროექტების, წრეების ფარგლებში. ზემოთქმულს ასევე ადასტურებს სკოლის თვითშეფასების ფორმა და სკოლის წინარე გამოცდილება. ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ასევე გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) და მაკროცნებას (კვლევა).

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**3.** სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების ხედვა. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ ჯგუფი სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი და სპეციალური პედაგოგი., რომლებიც შემდგომში, მთელი წლის განმავლობაში, მუშაობენ მოსწავლესთან და მისი საჭიროებების და მოთხოვნილებების მიხედვით, უქმნიან მათ შესაბამის სასწავლო გარემოს. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ისარგებლონ რესურს ოთახით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი პედაგოგების მხრიდან, რომ იძლევა დიფერენცირების საშუალებას, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. შექმნილია ინკლუზიური გარემო, სწავლის პროცესი და შინაარსი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში დავალების მოდიფიცირებას. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი ამზადებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ანგარიშს, რომელშიც ჩანს სსსმ მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასკოლო სასწავლო გეგმისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ეროვნული გეგმის შესაბამისად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვით შეფასება ხორციელდება ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემით საბაზო საფეხურზე აპრობირებული და დამკვიდრებულია განმსაზღვრელი შეფასება, მაგრამ აქტიურად ხდება განმავითარებელი შეფასების გამოყენებაც, რომელიც აკვირდება/აკონტროლებს მოსწავლის განვითარების დინამიკას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. საამისოდ, მასწავლებელი აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს მოსწავლეზე მორგებული, დასახული ამოცანების მოდიფიცირების მიზნით. მოსწავლე შეფასების პროცესის თანამონაწილეა, ერთვება თანაშეფასებასა და თვითშეფასებაში, რაც შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფის საშუალებას იძლევა. საბაზო საფეხურზე სკოლა აქვს სოლო ტაქსონომიით შეფასების პრაქტიკა და სამომავლოდ გეგმავს მის სრულყოფას სასწავლო პროცესში. ასევე, სკოლა გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრების წარმომადგენლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და შესაბამის კომპეტენცია.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები და შემდეგ სრულად პედსაბჭო, აჯამებს წლის განმავლობაში მოსწავლეების შედეგებს და მათი მიღწევების დონეებს, აფასებს სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც ყოველი შემდგომი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს არის გათვალისწინებული. კათედრის შიგნით ხდება კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. საბაზო საფეხურის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, გამოცდილება და მზაობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. გაკვეთილის შეფასების რუბრიკა;
3. კომპლექსური დავალება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას მოსწავლეების ინტერესები და სურვილები მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული. კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი. ახალი მასალის ათვისებისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის მიზნობრივი, მოსწავლე კი საკუთარი წინარე ცოდნის გამოყენებით ახერხებს პროცესში აქტიურად/შემოქმედებითად ჩართულობას. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიაზროს სამიზნე ცნება, სიღრმისეულად გაიაზროს საკითხი, ააგოს ახალი ცოდნა წინაზე დაყრდნობით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში სინტერესო აქტივობების წარმართვა და სხვადასხვა პროდუქტების შექმნა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურობას. ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით მოსწავლე ეძებს სირთულეების დაძლევის გზებს, შემოქმედებითად უდგება საკითხთა შესწავლას. წრეები, არაფორმალურ გარემოში განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები და სასკოლო პროექტები, ასევე, აქტიურად და შემოქმედებითად რთავს მოსწავლეს სასწავლო პროცესში, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს გეგმავს ისე, რომ მოსწავლემ წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ შეძლოს სიახლეების დამოუკიდებლად აღმოჩენა. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით იყენებენ გონებრივი იერიშის მეთოდს, ფრონტალური კითხვების დასმას, შესასვლელ ბარათებს და ა. შ. მასწავლებელი სწავლის პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს, აქტივობები დაგეგმილია მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეული გააზრებისა და ტრანსფერის უნარის განვითარებაზე. სასწავლო თემის ფარგლებში დავალებები შედგენილია ისე რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას და აგებულია თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის პრინციპებზე. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, მასწავლებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენს მატრიცის თვითრეფლექსიას, და მის საფუძველზეც განახორციელებს სასწავლო პროცესის ცვლილებას. ყურადღება ექცევა იმას, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად აითვისონ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია, და ახალი ცოდნის მიწოდებაც მოხდეს კონსტრუქტივიზმის პრინციპზე დაფუძნებით. დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ

სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). თეორიულ ცოდნას საკითხის მიმართ მოსწავლეს მასწავლებელი აძლევს, თუმცა მოსწავლემ უნდა შეძლოს ამ ცოდნის რეალიზება და მისი სწორად გამოყენება. სკოლა აქტიურადაა ჩართული ახალი სკოლის მოდელში. აანალიზებენ სიახლეებს სწავლა/სწავლებაში, რომლებიც მოსწავლეებზეა მორგებული. აღსანიშნავია, რომ სკოლა სწავლებისას ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს საბაზო საფეხურის ყველა კლასში, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა მორგებული და გვთავაზობს სასწავლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს საკითხი: შეძლოს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით პროდუქტის შექმნა და მისი გამოყენების მიზნის გააზრება. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ შერჩეული თუ შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამის ილუსტრირების საშუალებას იძლევა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები კი ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრებს ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული აქვთ, რა პროდუქტი უნდა შექმნან, რა ცოდნა და გამოცდილება უნდა დაიგროვონ მიმდინარე გაკვეთილებზე. მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა პრეზენტაციით წარმოადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას და აკეთებს თვითრეფლექსიას. საბაზო საფეხურის კლასებში ხშირია, საგანთა შორის ინტეგრირებით ჩატარებული გაკვეთილები; რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებასა და რაიმე პროდუქტის შექმნაზე, ბუნებრივად მოიაზრებს მოსწავლის ყველა უნარის გააქტიურებას, ცოდნების ურთიერთდაკავშირებასა და ინტეგრირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა
3. კათედრების სხდომების ოქმები
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
5. კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
6. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული თითოეული თემის/პარაგრაფის შესწავლა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენები სრულად გაითავისონ, საგაკვეთილო პროცესში წახალისებულია მათი ორიგინალური, გამორჩეული იდეები; საბაზო საფეხურზე ამას მოწმობს მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტები და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესი მდგრადია სკოლაში, ყველა პედაგოგი (საგნობრივი მიმართულებით) ახორციელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტული მიდგომით სწავლებას. ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ახლავს კომპლექსური დავალებების პირობები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორადაა განსაზღვრული სამიზნე ცნებების ქვეცნებები და ქვესაკითხები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლებს, ყურადღება გამახვილებული აქვთ არა მხოლოდ იმაზე, რამდენად ღრმა ცოდნას და ინფორმაციას მიიღებს მოსწავლე, არამედ იმაზეც, რამდენად დადებითად აისახება მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე შესაბამისი მეთოდებით შესწავლა. ამ თვალსაზრისით სკოლაში, არაფორმალური განათლების ჭრილში, განხორციელდა სასკოლო პროექტები: „ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს. "კონფლიქტების მართვა" პროექტი შინაარსი და განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისობაშია ისეთი კომპეტენციების გააზრებასთან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები, კონფლიქტების მართვა, განსხვავებულობის აღქმა, ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობა და ა.შ. საბაზო საფეხურზე, პროექტის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდა ემპათიასა და თანაგრძნობის უნარის წარმოჩენაზე. აგრეთვე განსხვავებული შესაძლებლობების აღიარების აუცილებლობის მნიშვნელობაზე, მავნე ჩვევების მიმართ მიდრეკილების აღმოფხვრასა და აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე; სკოლაში ამ მიმართულებით, მიმდინარე ეტაპზე, იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, კონკურსები, ვიქტორინები; ასეთი აქტივობები მოსწავლეებს ხელს უწყობს განუვითარდეთ გუნდურობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, აუმაღლდეთ ზოგადი ცნობიერება სხვადასხვა საკითხის მიმართ, იყვნენ დამოუკიდებლები. იყვნენ დამოუკიდებლები; მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებები, ძირითადად, შეესაბამება საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ თემებს-პერმანენტულად ეწყობა მიზნობრივი ექსკურსიები (გაწერილი სასწავლო გეგმებითა და მიზნებით), გასვლითი (შემეცნებითი ) გაკვეთილები, სასწავლო ტურები და სხვა;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რასაც ემსახურება სკოლის მიერ შეთავაზებული განმავითარებელი შეფასება და კომპლექსური დავალებები. საგნის შინაარსისა და ცნებების გააზრებით მოსწავლე ყოველ წელს აუმჯობესებს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგს. საბაზო საფეხურის მოსწავლეებში წახალისებულია ლიდერობა, კრეატიულობა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, სოციალური უნარები და სხვ. რომლის დროსაც

მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასებებს. მათ შორის: მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური სამუშაოს შეფასების რუბრიკებს, დებატების შეფასების რუბრიკას და სხვ. რიგ შემთხვევებში მოსწავლეები თავადაც მონაწილეობენ შეფასების კრიტერიუმები შემუშავების პროცესში. გამოცდილება აჩვენებს, რომ სწავლა/სწავლების პროცესში შეფასებისას კომენტარი მეტად ეფექტიანია მაშინ, როცა მას აქვს აღწერითი ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. პედაგოგებმა ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტესტების, პროექტების, პრეზენტაციების, ჯგუფური სამუშაოების სახით და სხვ. ეს შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს სხვადასხვა კუთხით შეაფასოს მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები, რაც ზრდის შეფასების ვალიდურობას და სანდოობას. მოსწავლეთა ყველა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (რუბრიკები), ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს, მათ იციან, რომელ დავალებაში რამდენი ქულით და რის მიხედვით შეფასებდებიან. ამ მეთოდით იზრდება გამჭვირვალობა და სამართლიანობა. მოსწავლეებს არ აქვთ უსამართლობის განცდა. ხშირად შეფასების კრიტერიუმების შექმნა ხდება მოსწავლეებთან ერთად და მათთან შეთანხმებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. საბაზო საფეხურზე კათედრები უფრო სპეციფიური მექანიზმებით მუშაობს, კერძოდ, განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას; მრავალკომპონენტიანობა და სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული შეფასება მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივ გაანალიზებაში ეხმარება მათ. მოსწავლის შეფასება ხელმისაწვდომია მშობლებისთვის (ინდივიდუალურად), ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში (დაინტერესების შემთხვევაში, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა/გაღრმავების მიზნით), ისე სემესტრის ბოლოს; შეფასებისას, კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, აანალიზებს მის მიღწევებს და შეიმუშავებს მხარდაჭერის მექანიზმებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და ა.შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. მოსწავლეთა მობილობის განხორციელების დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად. სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შეფასების ვერიფიკაცია
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
4. საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
5. თვითშეფასების ფორმა
6. სასკოლო სასწავლო გეგმა
7. კათედრების ოქმები;
8. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოიყენება სწავლების უნივერსალური დიზაინი, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ახალბედა კადრის მიმართ კოლექტივის მიმღებლობა დადებითი და კონსტრუქციულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საბაზო

საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. კერძოდ, მასწავლებლები ჩაატარებენ გამოკითხვებს, საჭიროების კვლევას და სხვ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, დანერგილი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. პროექტები, საკლუბო მუშაობა, არაფორმალური განათლება;
3. სასკოლო პროექტი
4. ურთიერთდასწრების რეფლექსიები
5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
6. საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
7. საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
9. კათედრის სხდომის ოქმები;
10. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს საბაზო საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება კათედრებს, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. საბაზო საფეხურზე ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჩატარდა მერვე კლასებში, ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კათედრების წევრებისა და დირექციის  თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლაში მონიტორინგი ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებასა და წარმატების გაზომვას. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის კიდევ უფრო ეფექტურად/მიზნობრივად ამოქმედდებას, რაც შეაფასებს მიღწევებს და ასევე გამოკვეთს მიმართულებებს, სადაც საჭიროა დახმარება/მხარდაჭერა. სკოლა გეგმავს გაძლიერებას ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
3. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. სასკოლო - სასწავლო გეგმა
6. საგნობრივი კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის პროექტებით და პრეზენტაციებით. რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და

პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. მოსწავლეთა მრავალმხრივი კონტექსტით შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. საბაზო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით, რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა , თვითგანსაზღვრა და სხვა)“ პედაგოგებმა ინტირვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით იქმნება სოციალური თუ კოგნიტურად ხელსაყრელი გარემო სასწავლო პროცესში; ამისათვის ფორმალურთან ერთად იყენებენ არაფორმალურ აქტივობებს, მაგ.: ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, იწვევენ სტუმრებს და სხვა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება სკოლას ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების გზების მოძიებაში; კათედრებზე დამკვიდრებულია მოსწავლეთა შეფასებისას დროისა და სივრცის გათვალისწინება, მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე (მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე). მონაცემების შეგროვებისთვის საბახო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, მაგალითად, მოსწავლის სიტუაციის შესწავლისას შემფასებელი (დამრიგებელი, მასწავლებელი, დირექცია) მხედველობაში იღებს იმას, რომ ბავშვის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, არამარტო ოჯახი, მასწავლებლები და მეგობრები, არამედ მშობლების სამსახური, მშობლების სამეგობრო, სანათესავო, თემი და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
2. **საბაზო საფეხურის კურიკულუმი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, და კათედრის წევრებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან და მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი სასწავლო პროცესების გაანალიზება, თუ როგორია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, ასევე მშობელთა ჩართულობის, კათედრების მუშაობის, სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული მასწავლებელის მუშაობის შედეგების მიხედვით. დგინდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემების გაანალიზების და შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს კი ითვალისწინებენ ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და კურიკულუმის შესამუშავებლად და ითვალისწინებენ სამოქმედო გეგმის შედგენის დროსაც. საკუთარ ანალიზებზე დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე; კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლასთან თანამშრომლობენ საგნობრივი ექსპერტები. წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებს მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირის სახით. მიმდინარე ეტაპზე, საბაზო საფეხურზე, მომდევნო სასწავლო წლისთვის მუშავდება კურიკულუმები; პროცესი ითვალისწინებს წლის მანძილზე გამოვლენილი დაკვირვების შედეგებს. კეთდება ანალიზი და ისე განისაზღვრება სწავლა-სწავლების მიზნები;
**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. სკოლას გააზრებული აქვს , რომ კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, რომ აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის, გააზრება. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახულია მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და სხვ. .მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შედგენილია წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, არსებული შედეგების ანალიზის და მონიტორინგის საფუძველზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათში მოცემული თემებიც განსაზღვრულია წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. კერძოდ თემები და კომპლექსური დავალებები დაკავშირებულია წინარე ცოდნაზე და ხდება ეტაპობრივი განვითარება, რათა მოხდეს წინარე ცოდნაზე ახლი ცოდნის დაშენება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. ასევე, კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგემვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებიან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავენ მოსწავლეთა ინტერესების

სფეროებს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. სკოლაში განხორცილებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი ციკლურია, პროცესის თანამონაწილეები არიან სხვადასხვა კათედრები, მასწავლებლები, მოსწავლეები, რიგ შემთხვევებში - მშობლებიც; მასწავლებლები პროცესის მიმდინარეობისას ეყრდნობიან წინა წლის გამოცდილებას და ახორციელებენ მოდიფიცირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია თითოეულ ინდივიდზე და ითვალისწინებს თანამედროვე სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს; პრიორიტეტების განისაზღვრება სხვადსახვა კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების/ მიღწევების მიხედვით; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საშუალო საფეხურზე, ტარდება მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სიახლეების შესახებ; მშობლები ეცნობიან წინასწარ გაწერილ კომპლექსური დავალების ეტაპებს, კათედრებზე მომზადებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რომელთაც კლასის

დამრიგებელი უზიარებს მშობლებს, პირისპირ ან/და ონლაინ ფორმით; სოციალურ ქსელში, (როგორიცააTeams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის). სკოლის გვერდზე, პერმანენტულად ხდება გაზიარება კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/თემისთვის, გარდა ამისა, შექმნილია კლასის (დახურული) ჯგუფები, რომელშიც დამრიგებლები, ყოველდღიურ რეჟიმში აზიარებენ სიახლეებს, განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას, მიზნობრივ რეკომენდაციებს/სტატიებს აღმზრდელობით საკითხებსა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ; აგრეთვე, სკოლას აქვს ბლოგი, რომელიც განახლების ეტაპზეა. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება საინტერესო/სახალისო აქტივობების ნუსხის განახლება, მოსწავლეთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა;

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ითვალისწინებს მოსწავლეთა თავისებურებებს და შესაძლებლობებს. კერძოდ, სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების გამოკვეთისას, ხდება ცვლილების შეტანა. ყოველი ასეთი ცვლილება ზიარდება კათედრის წევრებს შორის; განსაკუთრებული აქტიურობა ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით, ჩანს პარალელურ კლასებში შემსვლელი პედაგოგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციისას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები( სახელმძღვანელო, დამატებითი რესურსი ) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**2.** სსიპ-ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, გარდა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზებისა, არის მათი თანამედროვე სამყაროსთვის მომზადება, რაც მოიცავს ტექნოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს. სკოლაში განხორციელებული და მიმდინარე სასკოლო პროექტები, კურიკულუმები სრულად ორიენტირებულია შესაბამისი უნარების განვითარებაზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში დეტალურად არის ასახული გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნული მიზნების შესაბამისად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, იგეგმება სასწავლო აქტივობებიც. საშუალო საფეხურზე კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, შემოქმედებითობის გაღვივება უმნიშვნელოვანესია სამომავლოდ მათი საზოგადოებაში ადაპტაციისთვის. მასწავლებლები მუშაობენ თემების მიხედვით, იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს, არ არიან ორიენტირებული მხოლოდ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე, პედაგოგები, ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდების გარდა, დამატებით ამრავალფეროვნებენ რესურსებს მოსწავლეებისთვის. კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც სასწავლო წლის მანძინზე მოხდება კომპლექსური ბუნების მქონე დავალების, პროექტების, წრეების ფარგლებში. ზემოთქმულს ასევე ადასტურებს სკოლის თვითშეფასების ფორმა და სკოლის წინარე გამოცდილება. ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ასევე გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) და მაკროცნებას (კვლევა).

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**3.** სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების ხედვა. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ ჯგუფი სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი და სპეციალური პედაგოგი., რომლებიც შემდგომში, მთელი წლის განმავლობაში, მუშაობენ მოსწავლესთან და მისი საჭიროებების და მოთხოვნილებების მიხედვით, უქმნიან მათ შესაბამის სასწავლო გარემოს. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ისარგებლონ რესურს ოთახით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი პედაგოგების მხრიდან, რომ იძლევა დიფერენცირების საშუალებას, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. შექმნილია ინკლუზიური გარემო, სწავლის პროცესი და შინაარსი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში დავალების მოდიფიცირებას. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი ამზადებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ანგარიშს, რომელშიც ჩანს სსსმ მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასკოლო სასწავლო გეგმისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ეროვნული გეგმის შესაბამისად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვით შეფასება ხორციელდება ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემით საშუალო საფეხურზე აპრობირებული და დამკვიდრებულია განმსაზღვრელი შეფასება, მაგრამ აქტიურად ხდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების გამოყენებაც, რომელიც აკვირდება/აკონტროლებს მოსწავლის განვითარების დინამიკას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. საამისოდ, მასწავლებელი აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს მოსწავლეზე მორგებული, დასახული ამოცანების მოდიფიცირების მიზნით. მოსწავლე შეფასების პროცესის თანამონაწილეა, ერთვება თანაშეფასებასა და თვითშეფასებაში, რაც შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფის საშუალებას იძლევა. საშუალო საფეხურზე სკოლა აქვს სოლო ტაქსონომიით შეფასების პრაქტიკა და სამომავლოდ გეგმავს მის სრულყოფას სასწავლო პროცესში. ასევე, სკოლა გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრების წარმომადგენლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და შესაბამის კომპეტენცია.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები და შემდეგ სრულად პედსაბჭო, აჯამებს წლის განმავლობაში მოსწავლეების შედეგებს და მათი მიღწევების დონეებს, აფასებს სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც ყოველი შემდგომი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს არის გათვალისწინებული. კათედრის შიგნით ხდება კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, გამოცდილება და მზაობა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. გაკვეთილის შეფასების რუბრიკა;
3. კომპლექსური დავალება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2.3.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას მოსწავლეების ინტერესები და სურვილები მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული. კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი. ახალი მასალის ათვისებისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის მიზნობრივი, მოსწავლე კი საკუთარი წინარე ცოდნის გამოყენებით ახერხებს პროცესში აქტიურად/შემოქმედებითად ჩართულობას. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიაზროს სამიზნე ცნება, სიღრმისეულად გაიაზროს საკითხი, ააგოს ახალი ცოდნა წინაზე დაყრდნობით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში სინტერესო აქტივობების წარმართვა და სხვადასხვა პროდუქტების შექმნა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურობას. ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით მოსწავლე ეძებს სირთულეების დაძლევის გზებს, შემოქმედებითად უდგება საკითხთა შესწავლას. წრეები, არაფორმალურ გარემოში განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები და სასკოლო პროექტები, ასევე, აქტიურად და შემოქმედებითად რთავს მოსწავლეს სასწავლო პროცესში, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს გეგმავს ისე, რომ მოსწავლემ წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ შეძლოს სიახლეების დამოუკიდებლად აღმოჩენა. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით იყენებენ გონებრივი იერიშის მეთოდს, ფრონტალური კითხვების დასმას, შესასვლელ ბარათებს და ა. შ. მასწავლებელი სწავლის პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს, აქტივობები დაგეგმილია მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეული გააზრებისა და ტრანსფერის უნარის განვითარებაზე. სასწავლო თემის ფარგლებში დავალებები შედგენილია ისე რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე  ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა  და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას და აგებულია თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის პრინციპებზე. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, მასწავლებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენს მატრიცის თვითრეფლექსიას და მის საფუძველზეც განახორციელებს სასწავლო პროცესის ცვლილებას. ყურადღება ექცევა იმას, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად აითვისონ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია და ახალი ცოდნის მიწოდებაც მოხდეს კონსტრუქტივიზმის პრინციპზე დაფუძნებით. დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები,მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით  თუ სხვა რაიმე ფორმით.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). თეორიულ ცოდნას საკითხის მიმართ მოსწავლეს მასწავლებელი აძლევს, თუმცა მოსწავლემ უნდა შეძლოს ამ ცოდნის რეალიზება და მისი სწორად გამოყენება. სკოლა აქტიურადაა ჩართული ახალი სკოლის მოდელში. აანალიზებენ სიახლეებს სწავლა/სწავლებაში, რომლებიც მოსწავლეებზეა მორგებული. აღსანიშნავია, რომ სკოლა სწავლებისას ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს საშუალო საფეხურის ყველა კლასში, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა მორგებული და გვთავაზობს სასწავლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს საკითხი: შეძლოს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით პროდუქტის შექმნა და მისი გამოყენების მიზნის გააზრება. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შერჩეული თუ შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამის ილუსტრირების საშუალებას იძლევა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. საგნობრივ კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები,წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები კი ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრებს ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას, განსაზღვრული აქვთ, რა პროდუქტი უნდა შექმნან, რა ცოდნა და გამოცდილება უნდა დაიგროვონ მიმდინარე გაკვეთილებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა პრეზენტაციით წარმოადგენს შესრულებულ კომპლექსურ დავალებას და აკეთებს თვითრეფლექსიას. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებასა და რაიმე პროდუქტის შექმნაზე, ბუნებრივად მოიაზრებს მოსწავლის ყველა უნარის გააქტიურებას, ცოდნების ურთიერთდაკავშირებასა და ინტეგრირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა
3. კათედრების სხდომების ოქმები
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
5. კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
6. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული თითოეული თემის/პარაგრაფის შესწავლა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენები სრულად გაითავისონ, საგაკვეთილო პროცესში წახალისებულია მათი ორიგინალური, გამორჩეული იდეები; საშუალო საფეხურზე ამას მოწმობს მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტები და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესი მდგრადია სკოლაში, ყველა პედაგოგი (საგნობრივი მიმართულებით) ახორციელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ, კონსტრუქტივისტული მიდგომით სწავლებას. ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ახლავს კომპლექსური დავალებების პირობები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორადაა განსაზღვრული სამიზნე ცნებების ქვეცნებები და ქვესაკითხები.
   **ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლებს, ყურადღება გამახვილებული აქვთ არა მხოლოდ იმაზე, რამდენად ღრმა ცოდნას და ინფორმაციას მიიღებს მოსწავლე, არამედ იმაზეც, რამდენად დადებითად აისახება მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე შესაბამისი მეთოდებით შესწავლა. ამ თვალსაზრისით სკოლაში, არაფორმალური განათლების ჭრილში, განხორციელდა სასკოლო პროექტები: „ ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს. "კონფლიქტების მართვა" პროექტი შინაარსი და განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისობაშია ისეთი კომპეტენციების გააზრებასთან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები, კონფლიქტების მართვა, განსხვავებულობის აღქმა, ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობა და ა.შ. საშუალო საფეხურზე, პროექტის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდა ემპათიასა და თანაგრძნობის უნარის წარმოჩენაზე. აგრეთვე განსხვავებული შესაძლებლობების აღიარების აუცილებლობის მნიშვნელობაზე, მავნე ჩვევების მიმართ მიდრეკილების აღმოფხვრასა და აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე; სკოლაში ამ მიმართულებით, მიმდინარე ეტაპზე, იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, კონკურსები, ვიქტორინები; ასეთი აქტივობები მოსწავლეებს ხელს უწყობს განუვითარდეთ გუნდურობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, აუმაღლდეთ ზოგადი ცნობიერება სხვადასხვა საკითხის მიმართ, იყვნენ დამოუკიდებლები. მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებები, ძირითადად, შეესაბამება საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ თემებს-პერმანენტულად ეწყობა მიზნობრივი ექსკურსიები (გაწერილი სასწავლო გეგმებითა და მიზნებით), გასვლითი (შემეცნებითი ) გაკვეთილები, სასწავლო ტურები და სხვა;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რასაც ემსახურება სკოლის მიერ შეთავაზებული განმავითარებელი შეფასება და კომპლექსური დავალებები. საგნის შინაარსისა და ცნებების გააზრებით მოსწავლე ყოველ წელს აუმჯობესებს ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგს. საშუალო საფეხურის მოსწავლეებში წახალისებულია ლიდერობა, კრეატიულობა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, სოციალური უნარები და სხვ. რომლის დროსაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასებებს. მათ შორის: მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური სამუშაოს შეფასების რუბრიკებს, დებატების შეფასების რუბრიკას და სხვ. რიგ შემთხვევებში მოსწავლეები თავადაც მონაწილეობენ შეფასების კრიტერიუმები შემუშავების პროცესში. გამოცდილება აჩვენებს, რომ სწავლა/სწავლების პროცესში შეფასებისას კომენტარი მეტად ეფექტიანია მაშინ, როცა მას აქვს აღწერითი ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. პედაგოგებმა ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტესტების, პროექტების, პრეზენტაციების, ჯგუფური სამუშაოების სახით და სხვ. ეს შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს სხვადასხვა კუთხით შეაფასოს მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები, რაც ზრდის შეფასების ვალიდურობას და სანდოობას. მოსწავლეთა ყველა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (რუბრიკები), ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს, მათ იციან, რომელ დავალებაში რამდენი ქულით და რის მიხედვით შეფასებდებიან. ამ მეთოდით იზრდება გამჭვირვალობა და სამართლიანობა. მოსწავლეებს არ აქვთ უსამართლობის განცდა. ხშირად შეფასების კრიტერიუმების შექმნა ხდება მოსწავლეებთან ერთად და მათთან შეთანხმებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა ( დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. საშუალო საფეხურზე კათედრები უფრო სპეციფიური მექანიზმებით მუშაობენ, კერძოდ, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას; მრავალკომპონენტიანობა და სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული შეფასება მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივ გაანალიზებაში ეხმარება მათ. მოსწავლის შეფასება ხელმისაწვდომია მშობლებისთვის (ინდივიდუალურად), ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში (დაინტერესების შემთხვევაში, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა/გაღრმავების მიზნით), ისე სემესტრის ბოლოს; შეფასებისას, კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, აანალიზებს მის მიღწევებს და შეიმუშავებს მხარდაჭერის მექანიზმებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

6. თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და ა.შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. მოსწავლეთა მობილობის განხორციელების დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად. სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შეფასების ვერიფიკაცია
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
4. საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
5. თვითშეფასების ფორმა
6. სასკოლო სასწავლო გეგმა
7. კათედრების ოქმები;
8. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოიყენება სწავლების უნივერსალური დიზაინი, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ახალბედა კადრის მიმართ კოლექტივის მიმღებლობა დადებითი და კონსტრუქციულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია

მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. კერძოდ, მასწავლებლები ჩაატარებენ გამოკითხვებს, საჭიროების კვლევას და სხვ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, დანერგილი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. პროექტები, საკლუბო მუშაობა, არაფორმალური განათლება;
3. სასკოლო პროექტი
4. ურთიერთდასწრების რეფლექსიები
5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
6. საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
7. საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
9. კათედრის სხდომის ოქმები;
10. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

o *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს საშუალო საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება კათედრებს, სადაც ხდება თითოეული

მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. 2022-2023 წლებში განხორციელბებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლაში მონიტორინგი ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებასა და წარმატების გაზომვას. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის კიდევ უფრო ეფექტურად/მიზნობრივად ამოქმედდებას, რაც შეაფასებს მიღწევებს და ასევე გამოკვეთს მიმართულებებს, სადაც საჭიროა დახმარება/მხარდაჭერა. სკოლა გეგმავს გაძლიერებას ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. სასკოლო - სასწავლო გეგმა
6. საგნობრივი კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტებით და პრეზენტაციებით. რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. მოსწავლეთა მრავალმხრივი კონტექსტით შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. საშუალო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით, რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა , თვითგანსაზღვრა და სხვა)" პედაგოგებმა ინტირვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით იქმნება სოციალური თუ კოგნიტურად ხელსაყრელი გარემო სასწავლო პროცესში; ამისათვის ფორმალურთან ერთად იყენებენ არაფორმალურ აქტივობებს, მაგ.: ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, იწვევენ სტუმრებს და სხვა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება სკოლას ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში; კათედრებზე დამკვიდრებულია მოსწავლეთა შეფასებისას დროისა და სივრცის გათვალისწინება, მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე (მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე). მონაცემების შეგროვებისთვის საშუალო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, მაგალითად, მოსწავლის სიტუაციის შესწავლისას შემფასებელი (დამრიგებელი, მასწავლებელი, დირექცია) მხედველობაში იღებს იმას, რომ ბავშვის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, არამარტო ოჯახი, მასწავლებლები და მეგობრები, არამედ მშობლების სამსახური, მშობლების სამეგობრო, სანათესავო, თემი და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, და კათედრის წევრებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან და მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი სასწავლო პროცესების გაანალიზება, თუ როგორია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, ასევე მშობელთა ჩართულობის, კათედრების მუშაობის, სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული მასწავლებელის მუშაობის შედეგების მიხედვით. დგინდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემების გაანალიზების და შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს კი ითვალისწინებენ ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და კურიკულუმის შესამუშავებლად და ითვალისწინებენ სამოქმედო გეგმის შედგენის დროსაც. საკუთარ ანალიზებზე დაყრდნობით კათედრები გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, და გაწერენ წლიურ სამოქმედო გეგმას, სადაც პასუხისმგებლობები და შესასრულებელი საქმიანობები დელეგირებულია თითოეულ წევრზე; კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლასთან თანამშრომლობენ საგნობრივი ექსპერტები. წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ესწრებიან გაკვეთილებს, აწარმოებენ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებს მასწავლებლებს აწვდიან უკუკავშირის სახით. მიმდინარე ეტაპზე, საშუალო საფეხურზე, მომდევნო სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლისთვის მუშავდება კურიკულუმები; პროცესი ითვალისწინებს წლის მანძილზე გამოვლენილი დაკვირვების შედეგებს. კეთდება ანალიზი და ისე განისაზღვრება სწავლა-სწავლების მიზნები;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს , რომ კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, რომ აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის, გააზრება. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახულია მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და სხვ. .მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შედგენილია წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, არსებული შედეგების ანალიზის და მონიტორინგის საფუძველზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათში მოცემული თემებიც განსაზღვრულია წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. კერძოდ თემები და კომპლექსური დავალებები დაკავშირებულია წინარე ცოდნაზე და ხდება ეტაპობრივი განვითარება, რათა მოხდეს წინარე ცოდნაზე ახლი ცოდნის დაშენება.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

თარიღი:

09 ნოემბერი 2023 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: